საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-შაბათი, 3-4 დეკემბერი. 2021 წ. №208 (9327) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

არ დავუშვათ „ნაცების“ დაბრუნება!

ლუარსაბიდან მერამდენეა მიშა?



სააკა ისევ აღმაშენებელს ედრება!

...ბევრი მოთხოვნა იყო, წინა ჩემს გამოსვლაში რატომ არ გამოვხატე მეტი ბოდიშის განცდა და მეტი სინანული. ვინც სინანულისკენ მომიწოდებდა, როდესაც ამას აკეთებენ უზურპატორი ხელისუფლების წარმომადგენლები, გასაგებია, მათთვის ეს დაახლოებით ისეთივე სინანულია, როგორც სტალინი აწყობდა ღია პროცესებს, ყველა აღიარებდა თავის ბრალს და მერე ყველას ხვრეტდნენ თავისივე აღიარებული საჯარო ბრალის საფუძველზე. იმ ხალხის მიმართ მე არანაირი სასინანულო არ მაქვს. რაც შეეხება დანარჩენ საზოგადოებას, რა თქმა უნდა, დანარჩენ საზოგადობასთან მე ბევრი მაქვს სალაპარაკო, მთლიანად საზოგადოებაზე. ჩემი საპრეზიდენტო ფიცი მე დავდე დავით აღმაშენებლის საფლავზე, და დავით აღმაშენებლის გალობანი სინანულისანი, ეს არის პიროვნული პასუხისმგებლობის, მმართველის პასუხისმგებლობის, მორალური კატეგორიის ერთმანეთთან შეწონვა-აწონვა და საზოგადოების წინაშე პასუხისგება, რეფლექსია, ფიქრი იმაზე, რა უნდა ყოფილიყო სხვანაირად. გარწმუნებთ, ეს რეფლექსია მე მაქვს მთელი ეს წლები და ძალიან ბევრი მაქვს საფიქრალი.

მაგრამ დავით აღმაშენებელს გალობანი სინანულისანი არ წარმოუთქვამს, ის არ მოყოლილა თურქ-სელჩუკების ტყვეობაზე და თურქ სელჩუკების სასამართლოს წინაშე. მე ახლა ვიმყოფები პუტინის ტყვეობაში, პირადი პატიმარი ვარ რუსული სისტემის. როდესაც ითხოვთ მეტ ბოდიშს და მეტ სინანულს, გთხოვთ, გაიგეთ, რა მდგომარეობაში ვარ“!..

სანდრა მომიჯინეთ გვერდით!..

სანდრას რატომ არ ასამართლებენ? ხარჯების დიდი ნაწილი არის სანდრასი, სიამოვნებით ვიჯდებოდი მასთან ერთად ერთ საბრალდებო სკამზე. ამ ხარჯების მეოთხედი ან მეხუთედი სანდრასია...

გველაძუა ნაციონალები გველის ხვრელში ძვრებიან, რათა საზოგადოების მთელი ყურადღება თავიანთი ფსიქოტიპი მესვეურის სასამართლო ბოდვებზე გადაიტანონ, ამ ეშმაკური მოღალატური გზით როგორმე შეაფერხონ ყოველგვარი საქვეყნო საქმე და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის საბაბით ყოველდღიურად აგურ-აგურ გამოუთხარონ ძირი ქართულ სახელმწიფოს!

ᲙᲝᲜᲓᲝᲚᲘᲖᲐ ᲠᲐᲘᲡᲘ:

სააკაშვილი აპირებდა გაქცევას, მაგრამ სარკოზიმ გადააფიქრებინა!..

ჩემი შვილი ყველაზე ნიჭიერია!..

„ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ აკადემიაში ჩემი შვილი იყო ყველა დროის საუკეთესო კურსდამთავრებული. შეგიძლიათ, აკადემიის არქივებში გადაამოწმოთ. მეგობრებო, 2013 წელს, თუ არ ვცდები, 6 მილიონზე მეტი გადავრიცხე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ქართველი სტუდენტების უცხოეთში გასაშვებად. თქვენ რამდენი გადარიცხეთ?!“

ძალიან ვამაყობ ჩემი შვილით, ედუარდით. ის არის ერთადერთი ქართველი ახალგაზრდა, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში შევიდა კომპიუტერთან დაკავშირებული რაღაც რეკორდით. მარტო ამისთვის ეკუთვნოდა მას სრული დაფინანსება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არცერთ კანონში არ წერია, რომ პრეზიდენტის შვილი არ უნდა დაფინანსდეს, მაგრამ ეს არის განსაკუთრებით ნიჭიერი ადამიანი, რომელიც ხშირად არ მეთანხმება. შეგიძლიათ ნახოთ, დღეგამოშვებით არის BBC-ზე, CNN-ზე და სხვა ძირითად ტელესადგურებზე. მე ძალიან ვამაყობ ჩემი შვილით და ძალიან კმაყოფილი ვარ...

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲝᲒᲐᲕᲐ:

ᲚᲐᲠᲘᲑ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ!

ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘ ᲛᲔᲤᲝᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ!

მოუთმენლად ველით თქვენს მიღებას ბრიუსელში...

ირაკლი ღარიბაშვილი შარლ მიშელმა და ურსულა ფონ დერ ლაიენმა აღმოსავლეთ. პარტნიორობის სამიტზე მიიწვიეს, რომელიც ბრიუსელში, 15 დეკემბერს გაიმართება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა და ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე მიიწვიეს, რომელიც ბრიუსელში 15 დეკემბერს გაიმართება.

მათი ცნობით, ოფიციალურ მიწვევაში, რომელიც საქართველოს მთავრობის მეთაურმა მიიღო, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი და ევროკომისიის პრეზიდენტი სამიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ ძირითად თემებზე საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ ის იქნება მორიგი შესაძლებლობა საერთო ღირებულებების, ერთობისა და სოლიდარობის დემონსტრირებისთვის.

„გვაქვს პატივი, მოგიწვიოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის მეექვსე სამიტზე, რომელიც თავად აღმოსავლეთ პარტნიორობის სტრატეგიული მნიშვნელობის განმტკიცებას ისახავს მიზნად მიმდინარე გლობალური გამოწვევების პირობებში.

2019 წელს აღვნიშნეთ პარტნიორობის ათი წლის იუბილე. მას შემდეგ განვიცადეთ ახალი კორონავირუსის პანდემია, რომელიც გრძელვადიანი ეფექტის მოხდენის რისკის წინაშე ამყოფებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და ჩვენი პარტნიორი ქვეყნების მოსახლეობასა და ეკონომიკას. პანდემიამ არც იმის შესაძლებლობა მოგვცა, რომ გასულ წელს შევხვედრილიყავით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის წლევანდელი სამიტი ჩვენი საერთო ფასეულობების, ერთობისა და სოლიდარობის დემონსტრირების დროულ შესაძლებლობას იძლევა, თან შეგვეძლება ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობის სტრატეგიული ხედვის შემუშავება მაშინ, როდესაც აუცილებელი რეფორმების გზაზე დაწინაურებას ვცდილობთ, გლობალურ და რეგიონალურ გამოწვევებზე ვრეაგირებთ და წინ მიგვყავს ჩვენი პარტნიორობა.

ახლად შემოთავაზებული დღის წესრიგი, სახელწოდებით „რეფორმები, აღდგენა და გამძლეობა“ გამყარებულია ამბიციური, რეგიონალური, ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმით. ეს გახლავთ შორსმიმავალი გზამკვლევი მდგრადი, პოსტპანდემიური აღდგენის ხელშესაწყობად, რაც გამძლეობის უნარის გამომუშავებასა და ჩვენი თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად.

ამ საკითხების განსახილველად გთავაზობთ შეხვედრას ევროკავშირის ინსტიტუტების ლიდერთა, ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს მეთაურთა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების დონეზე. მოუთმენლად ველით თქვენს მიღებას ბრიუსელში და ჩვენს მნიშვნელოვან დისკუსიებს“!..

ზურაბ ქადაგიძე: კობა დავითაშვილის გარდაცვალების დღეს „მაოხრებელი გზირის“ სასამართლო იყო

საკუთარ მეგობარს რომ სასიკვდილოდ გაწირავ, სხვას რას უზამ?! მანიაკია ტიპი, დღესაც ანალოგიურად უკანმოუხედავად გაწირავდა ნებისმიერს, ხელისუფლებაში რომ იყოს...არაფერი შეცვლილა, იგივე რიტორიკა, იგივე უტიფრობა, — ასე ეხმიანება ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესს.

„რა სიმბოლურია...

დღეს კობა დავითაშვილის გარდაცვალების დღეა და თან მთავარ „მაოხრებელ გზირს“ სასამართლო აქვს..

საკუთარ მეგობარს რომ სასიკვდილოდ გაწირავ, სხვას რას უზამ?!

მანიაკია ტიპი. დღესაც ანალოგიურად უკანმოუხედავად გაწირავდა ნებისმიერს ხელისუფლებაში რომ იყოს... არაფერი შეცვლილა. იგივე რიტორიკა, იგივე უტიფრობა...

ნეტა რა უნდა თქვას? დიდი მიზნები მქონდა და ერთი ორი კაცის სიკვდილი რა მოსატანია „ტიტანურ“ რეფორმებთანო?! ან ერთი ასი ათასლარიანი ბოტოქსი რა პრობლემაა, როცა რუსეთს მკერდით ვაკავებდიო?!

გარეთ კი ნორჩი ლენინელები შეიკრიბებიან და წინ ბიუჯეტის „ვირთხა“ უგულავასთან ერთად პოლიციას გაუწევენ წინააღმდეგობას...

მერე „მდედრიონი“ წყევლა-კრულვაზე გადავა და ალბათ თაკო ჩარკვიანიც დაგვმოძღვრავს...

მოკლედ, დღეს კიდევ ერთ „იდიოტოკრატიას“ ვიხილავთ“...

მიშას „ლურჯი სამართალი“ აღიზიანებს!

მსჯავრდებული ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თქმით, გისოსები, რომელშიც სასამართლო დარბაზში უწევს ჯდომა, გარედან ყავისფრადაა შეღებილი, თუმცა, შიგნიდან ლურჯია. მისი აღქმით, ეს შეთხვევითი არაა.

„დააკვირდით, რომ ეს გისოსები ლურჯად არის შეღებილი? ერთი მხრიდან ყავისფერია... არ მგონია, რომ შემთხვევითაა შეღებილი. ეს არის „ლურჯი სამართალი“, სრული უსამართლობა, ეს არის „ოცნების“ ფერის სრული უსამართლობა, ვიდრე მე შუშის მიღმა გესაუბრებით“, — თქვა სააკაშვილმა.

პროფესორი შაბთაი ცური კავკასიის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი კავკასიის უნივერსიტეტში პროფესორ შაბთაი ცურისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიას დაესწრო და საპატიო წოდების მიღება მას პირადად მიუღოცა.

მიხეილ ჩხენკელმა საზოგადოებას სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა შაბთაი ცურს ქართულ-ებრაული ურთიერთობების გაღრმავებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

განათლების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, პროფესორ შაბთაი ცურს კავკასიის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიენიჭა.

„მრავალწლიანი კარიერის განმავლობაში შაბთაი ცური იკავებდა საქართველოში ისრაელის ელჩის თანამდებობას. ის გახლდათ ქართველი ებრაელების მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარე, საქართველოსა და კავკასიის საკითხებში ისრაელის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, ისრაელში საქართველოს საპატიო კონსული, საქართველოდან ისრაელში ჩამოსულთა ეროვნული და საერთაშორისო გაერთიანების თავმჯდომარე“, — აღნიშნულია განათლების სამინისტროს ინფორმაციაში.

შაბთაი ცურისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიაში მონაწილეობა ასევე მიიღეს საქართველოში ისრაელის ელჩმა რან გიდორმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა, საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა კახა შენგელიამ, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა თამარ მახარაშვილმა, საპატიო სტუმრებმა ისრაელიდან.

ზურაბ პოლოლიკაშვილი კვლავ მსოფლიო ტურიზმის თავკაცია!

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურ მდივნად, 85 ხმით 26-ის წინააღმდეგ, ზურაბ პოლოლიკაშვილი უკვე მეორე ვადით დაამტკიცეს. პოლოლიკაშვილი აღნიშნულ თანამდებობას ოთხი წლის ვადით დაიკავებს.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას პოლოლიკაშვილმა მთავარი აქცენტი გააკეთა იმაზე, თუ როგორ უნდა აღდგეს პანდემიის გამო ყველაზე მეტად დაზარალებული ტურიზმის სფერო სწრაფად. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურ მდივნად ხელახლა დამტკიცების შემდეგ ზურაბ პოლოლიკაშვილმა მთავარ პრიორიტეტებად სოფლის მეურნეობის ტურიზმი და რეგიონული განვითარება დაასახელა.

ესპანეთის დედაქალაქი მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ასამბლეას მასპინძლობდა. კორონავირუსის გამო ასამბლეა სამწლიანი პაუზის შემდეგ პირველად შეიკრიბა. საბერძნეთში თვეების წინ მიღებული გადაწყვეტილება უკვე შევიდა ძალაში, რაც ნიშნავს, რომ საქართველო ორგანიზაციის წევრის სტატუსს ოფიციალურად გადაიბარებს. მანამდე კი, ასამბლეის დღის წესრიგის მთავარი თემა ტურიზმის სექტორში გაჩენილი სირთულეების და გამოწვევების რაც შეიძლება სწრაფად დაძლევაა. ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა ტურიზმის მიმართ და პანდემიის გამო სამოგზაურო შეზღუდვების ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში მიღება ასამბლეაზე გამომსვლელთა ერთ-ერთი მთავარი გზავნილია.

ენგურჰესის კაშხალზე პირველი ტურისტული მარშრუტი გაიხსნა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ სხვადასხვა ტურისტული კომპანიისა და მედიის წარმომადგენლებისათვის ენგურჰესის კაშხალზე ინფოტური გამართა, — ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებითა და ეკონომიკის მინისტრის ხელშეწყობით „ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი მსოფლიო დონის ატრაქცია“ პროექტის პირველი ეტაპი ენერგეტიკის განვითარების ფონდმა და მისმა შვილობილმა კომპანიამ ენგურის ტურისტულმა ცენტრმა დაიწყეს. ტურის მონაწილეებს „ენგურის ტურისტული ცენტრის“ თანამშრომლებმა თაღოვანი კაშხლის განსაკუთრებით საინტერესო მონაკვეთები აჩვენეს, რომელიც დამთვალიერებლებისათვის აქამდე მიუწვდომელი იყო. ტურისტული მარშრუტის ხანგრძლივობა 2 საათია, რა დროსაც სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ კაშხლის ხიდი, დისკური ფარების შენობა, გვირაბი, წყალსაცავის ფარების განყოფილება და სხვა საინტერესო ადგილები.

პროექტის ფარგლებში იგეგმება სამეცნიერო და აღმოჩენათა ცენტრის განთავსება, ექსტრემალური ატრაქციების, რეგიონში ყველაზე გრძელი „ზიპ ლაინის“ მოწყობა, ასევე სარეკრეაციო-გასართობი ზონების, ღია საკონცერტო სივრცის, სანაოსნო ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვ. ენგურის თაღოვან კაშხალს ინდუსტრიული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის კატეგორია 2015 წელს განესაზღვრა. ენგურჰესის კაშხლის დათვალიერების შემდეგ ტურის მონაწილეებმა კოლხეთის ეროვნულ პარკში მდინარე ჭურიის ხეობა დაათვალიერეს. მდინარე ჭურია უნიკალური ეკოსისტემით გამორჩევა. ჭურიის ხეობაში წელიწადის ნებისმიერ დროს ბილიკზე არსებული სათვალთვალო კოშკურებიდან წყლის ფრინველებისა და ზოგიერთი მტაცებლის (თეთრკუდა არწივი ანუ ფსოვი, ძერა, ქორი, მიმინო) დანახვაა შესაძლებელი.

არ დავუშვათ „ნაცების“ დაბრუნება!

ქართველთა ერთ ნაწილს, რომელიც ცოტნე დადიანის ზნეობრივ გმირობას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მოწამეობრივ ცხოვრებას და მიხეილ სააკაშვილის პოპულისტურ შიმშილობა-უტიფრობას აიგივებს, ძალიან მწარედ მოეკითხება!

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სადავეები დღემდე უცხოელების ხელშია და ფსევდო, ვითომ დემოკრატიაც კარგ საშუალებად იქცა უომრად საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის – რევოლუციები, დაუმორჩილებლობა, ხელისუფლებათა ცვლილებები, რომელსაც ასევე არ მოაქვს შედეგი, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის... ეს ასე იქნება, ვიდრე უცხოელები ყველა პოლიტიკურ ინსტიტუტებს ფლობენ – სამთავრობო თუ არასამთავრობო, პრეზიდენტი თუ პარლამენტი, სახალხო დამცველი და ა.შ. ამას ემატება პარტიული სიმრავლე და დაბნეული ამომრჩეველი, მერყევი ოპოზიცია, რომლის პოლიტიკური თვალსაწიერი საკუთარ ღობეს ვერ გასცდა. არავითარი დიალოგი პრობლემის პოლიტიკური გზით გადაჭრისათვის, ხალხის გაჭირვებით მანიპულირება და რევოლუციური აღტყინებისთვის გამოყენება კვლავ ძალაშია.

ოცნების ნაციონალებთან კოჰაბიტაციამ ცუდზე ცუდი შედეგი გამოიღო ყველა პარამეტრით და ესაა უპირველესად ნეოფაშისტური რეჟიმის პოლიტიკაში დაბრუნების პერსპექტივა, რასაც მხარს უჭერენ დასავლური პარტიები, თუ ეს არის ევროპული ორიენტაცია, რაც ასევე შედის აშშ-ს ინტერესებში, უნდა ვთქვათ, რომ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. სახელმწიფოებრიობას და იმ ყბადაღებულ დემოკრატიას, რომელიც ვერა და ვერ შედგა, რაშიც ორ დაპირისპირებულ ძალას „ნაც-ქოცებს“ მიუძღვის ბრალი. რომლებიც ერთმანეთისთვის მაშველ რგოლებად იქცნენ, ხოლო დემოკრატიის მთავარი წყარო ხალხი, თანდათან ტოვებს ქვეყანას.

ეს არის გენოციდი, რომელიც მოიტანა დიქტატურამ დემოკრატიის სახელით, ნეოფაშიზმმა, ერთპარტიულობამ! ამ ვითარებაში დგება ახალი ძალების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის დრო, რომელიც ქვეყანას წაიყვანს სწორი გზით და არ მისცემს სხვა „მეგობარ“ ქვეყნებს მის პოლიტიკურ საქმეებში ჩახედვის უფლებას. ხელისუფლების გადაბარების საფუძველს იძლევა საარჩევნო შედეგებით მიახლოება კოჰაბიტირებულ ძალებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ ამომრჩეველთა თითქმის ნახევარი მონაწილეობს ამ კამპანიაში და ცვლილებების მოლოდინშია. ცხადია, ნაციონალები ამას კარგად ხედავენ და ცდილობენ, ნებისმიერი გზით დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. მიხეილ სააკაშვილმაც ჩათვალა, რომ რევოლუციური სიტუაცია მომწიფდა, რასაც, უპირველესად, ხალხის უკმაყოფილება განაპირობებს და საქართველოში ჩამოსვლით ეს მიზანი უნდა განეხორციელებინა. მან ვერ გათვალა, რომ ახლა 2003 წელი არ არის.

არც ისე იოლია ასიათასობით ადამიანის შეკრებაც, რაც თვალნათლივ ჩანს მათ დაგეგმილ საპროტესტო ღონისძიებებზე, კაცი, რომელიც დემოკრატიაზე დებს თავს, შეშლილივით იქცევა, დაავიწყდა რომ ორი ვადით უკვე იყო პრეზიდენტი და მესამედ „მოსვლას“ კონსტიტუციური ცვლილება სჭირდება. თუმცა, კონსტიტუცია თავის დროზე მისთვის ერთი ფარატინა უბის წიგნაკი იყო.

მოკლედ, ისევ განკაცდა მესია, ზღვიდან შემოძვრა ქართულ მიწაზე, რათა ზეცად აიყვანოს ხალხის მტერი ნაცები! თუმცა, გეგმა ჩავარდა და გამოსავალი შიმშილობა გახდა. რაც 50 დღე გაგრძელდა და მსოფლიოს ყურადღების ქვეშ მოექცა. ყველას დაავიწყდა მისი დამნაშავე რეჟიმი, რაშიც უდიდესი როლი შეასრულეს კრიმინალების მიერ დაფინანსებულმა „დამოუკიდებელმა“ ტელევიზიებმა.

გვარავიზიამ, ინგავიზიამ და „ჰალსტუხიანი ხვლიკის“ ვიზიამ, დილიდან საღამომდე ამოგვავსეს მესიჯებით – მიშა და საქართველო ერთია! მიშა და ხალხის თავისუფლება იდენტურია! ისაა ერთადერთი მხსნელი!, ის საქართველოს დამფუძნებელ-გადამრჩენელია! და ა. შ. და ა.შ.

ამ პანდორას ყუთებს თავის დროზე სიტყვა არ დასცდენიათ 7 ნოემბრის მოვლენებზე, „იმედის“ დარბევაზე, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დღეს ხოტბას ასხამს სააკაშვილის რეჟიმს, გულს უჩუყებს ხალხს, სააკაშვილი პუტინის პატიმარიაო...

დღეს ლამის მთელი პარტიული ელიტა წუხს იმ კაცის ჯანმრთელობაზე, რომლის კისერზე ათასობით დაღუპული ადამიანის სიცოცხლეა, ქვეყნიდან გაქცეული და დანგრეული ოჯახებია. ამან ერთგვარად განაპირობა ოპოზიციის ლუსტრაცია, რომ სკამისთვის ეშმაკსაც კი შეეკვრებიან.

ვარდების რევოლუცია შიმშილით რევოლუციამ ჩაანაცვლა. ერთბაშად გამოჩნდნენ მივიწყებული ნაციონალები, შარიანი შიმშილობა გრძელდება. სააკაშვილმა ციხიდან სამოქალაქო საავადმყოფოში გადაინაცვლა. საქართველოდან მსოფლიოს საუკეთესო კლინიკაში გადაყვანაზე ფიქრობენ, ნეტა, რა დააშავეს სხვა პატიმრებმა. მთელი ქვეყანა თავის მართლების რეჟიმში ჩააყენა ჭირვეულმა მიშამ, რომელიც აქეთ ადანაშაულებს უხეში მოპყრობისათვის, სადაც მნახველთა მიღების საათი აქვს „პრეზიდენტს“. არადა, ერთ დროს მისგან ტანჯული ხალხი დღემდეც გამწარებულია. მოსახლეობის მეორე ნაწილი კი ამ დიქტატორის დაბრუნებაზე ოცნებობს, არ მთავრდება ჩვენს ქვეყანაში ბელადომანია და ყვარყვარიზმი.

ქვეყანაში ახალი ეროვნული ძალების მოსვლას მხარს არ დაუჭერენ გარე ძალები, რომლებიც აკონტროლებენ ქვეყნის სტრატეგიულ მდგომარეობას და ამაგრებენ ნეოლიბერალურ სექტებს, რაც თავის მხრივ არყევს მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ საფუძველს, რომელზედაც დგას ქართული სახელმწიფოებრიობა.

მათ ავიწყდებათ, რომ საქართველო ავღანეთი არაა, კულტურით ცივილიზაციითა და უწმინდესი ტრადიციებით ერთერთი მოწინავე ქვეყანაა მსოფლიოში...

დღეს ეშმაკის ტყვეობაში ჩავარდნილები ანგრევენ რწმენას, ზნეობას, მოაქვთ სტრესი, ფსიქოზი, უიმედობა. მიაქვთ სიმშვიდე და თანადგომა. ჯანსაღი ურთიერთობები ადამიანებს შორის ნელდება, ვინ დაუბრუნებს მათ განწყობას, ხალისს, მთელი ქვეყანა პოლიტიკურ თეატრად იქცა. შიმშილით ქმნიან გლობალურ პრობლემას, როდესაც რეალურად შიათ პატიოსან ადამიანებს და იხოცებიან კიდეც. ვერც პანდემიამ და ვერც ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ვერ გააერთიანა ქართველობა. როცა დამნაშავეს და პროვოკატორს ზნეობრივ გმირს ცოტნე დადიანს ადარებენ, ცუდადაა იმ ხალხის საქმე. ფსევდოლიბერალები, ნეოფაშისტები იბრძვიან ხელისუფლებისათვის და ვინც შეეწინააღმდეგება მათ იდეებს, რუსეთის აგენტებად ნათლავენ.

ქრისტიანობაც და სამშობლოს სიყვარულიც აგენტობაა გლობალისტებისა და კოსმოპოლიტებისათვის.

30 წელი ვერ მივედით ჭეშმარიტ დემოკრატიამდე, 30 წლიანმა პოლიტიკურმა თამაშებმა, შიდა და გარე მტრების მონაწილეობით, ქვეყანა წელში გატეხა. ისინი მხარს უჭერენ ნეოფაშისტური ძალების აღზევებას, რაც დიდი გამოწვევაა ქართველი ხალხისათვის.

30-წლიანმა ფსევდოდემოკრატიამ, სხვათა წამბაძველობამ შედეგი არ გამოიღო. გაუსაძლისი ყოფა დიდხანს ვერ გაგრძელდება, ცოტა დრო დარჩა ნამდვილ სახალხო (და არა ნაცურ!) რევოლუციამდე, რომელიც ყველაფერს წალეკავს და, იმედია, საქმე აქამდე არ მივა, ქართველობა ისევ გაერთიანდება ღვთისა და საშობლოს ირგვლივ. ჩვენ გავიარეთ ნაცისტური ჯოჯოხეთი, „ოცნებამ“ ბევრი რამ გამოასწორა ამოწურა ნდობის რესურსი, მაგრამ ეს არასაკმარისია. ახალი ეროვნული ძალების დრო დადგა, რომელიც ქვეყანას, ხალხს გააერთიანებს რეალური დემოკრატიისა და თავისუფლების დამკვიდრებისთვის, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის, კატასტროფული დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისთვის!

ზურაბ აბრალავა,
„სრ“ საკ. კორ. ფოთი
(ტელ: 568 417 158)

უკრაინის მოქალაქე სააკაშვილი როდის მერე გახდა ჩვენი ქვეყნის სიმბოლო?!

ვამბობთ პარტიას და ვგულისხმობთ ვლადიმერ ლენინს... ვამბობთ ლენინს და ვგულისხმობთ პარტიას! დაახლოებით ამგვარი ფორმულირება შემოგვთავაზეს „ნაციონალებმა“ და მათმა მომხრეებმა, როცა სააკაშვილი საქართველოს დაუკავშირეს და ცნებების აღრევა მოახდინეს.

მიშას ვკარგავთ და თურმე საქართველოსაც ვკარგავთ, – ასეთი იყო მიშას გამო საქართველოში ჩამოსული **პაატა ბურჭულაძის** პოზიცია.

თავად სააკაშვილიც თავს აიგივებს საქართველოსთან და ამბობს, რომ თითქოს სწორედ მან აღასრულა ილია ჭავჭავაძის ნატვრა. კერძოდ, ვარდების რევოლუციამდე საქართველო იყო ტერიტორია და შემდეგ გახდა „ერი სხვა ერთა შორის“, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძის ოცნება. „საქართველო იყო სიბნელეში და გაბრწყინდა, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ არ ვართ პატარა სოფელი“. ამიტომ 18 წლის შემდეგ სააკაშვილი ხელახლა დებს ფიცს, რომ ქვეყანა დაიბრუნებს ძველ დიდებას და ბრწყინვალებას.

შეიძლება თუ არა სააკაშვილის გაიგივება უდიდეს ფენომენ- საქართველოსთან? ეს მაშინ, როცა წმინდანებად შერაცხილი ჩვენი კორიფეების გაიგივებაც კი არ ხდებოდა საქართველოსთან, არათუ სააკაშვილის.

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი **ნანა კაკაბაძე** მიიჩნევს, რომ, საერთოდ, ფანატიზმი არაჯანსაღი მოვლენაა. თუ არა ფანატიზმს, სხვას რას შეუძლია წარმოშვას ის ფაქტი, რომ რომელიმე პირი გაიგივდეს საქართველოსთან. ბოლოს და ბოლოს, დავით აღმაშენებელიც კი არ იყო საქართველოსთან გაიგივებული, რადგან როგორ შეიძლება, ერთი პირი, ერთი კაცი იყოს ქვეყანა?!

„თავისთავად, ეს არის არაჯანმრთელი აზროვნება, ამას არა მხოლოდ ფანატიზმს დავარქმევდი, არამედ ეს არის ბელადომანია, კერპთაყვანისმცემლობა, რომელიც ბნელი წარსულის და აწმყოს არაჯანმრთელი მდგომარეობის გამოხატულებაა. ვინც ასე აზროვნებს, მათაც ვურჩევდი, კონსილიუმით თუ კონსილიუმის გარეშე ექიმებთან ჰქონდეთ კავშირი და ურთიერთობა, რომელიც დაადგენს ასეთი აზროვნების მიზეზს. თუ ასეთი ფანატიზმი განკურნებადია, კარგი იქნება, რადგან ეს არის სერიოზული პრობლემა დღევანდელ საქართველოში“, – აღნიშნა ნანა კაკაბაძემ .

მისივე განმარტებით, როდესაც ჩვენი მტრები ჩვენზე ამბობდნენ, ავადმყოფი ერი ხართო (იგულისხმება რუსი მწერალი ვიქტორ ასტაფიევი) და ჩვენ ამაზე აღვშფოთდით, მაშინ ლამის რეალური რევოლუცია მოვახდინეთ. სინამდვილეში, თუ არა ავადმყოფობა, რისი შედეგი შეიძლება იყოს დღევანდელი ასეთი აზროვნება და სააკაშვილის გაიგივება საქართველოსთან?!

ნანა კაკაბაძის აზრით, ასეთი ავადმყოფური გამოვლინებები, საბედნიეროდ, მთელ ერში არა, მაგრამ საკმაოდ დიდ ნაწილში აღმოჩნდა, როგორც პრობლემა. ამიტომ წინმსწრებად არ უნდა გავბრაზდეთ ხოლმე, როდესაც ავადმყოფობასთან დაკავშირებით შეფასებები გვესმის, რადგან დღემდე ბევრს სჯერა საქართველოში, რომ სააკაშვილის დაკარგვით თურმე საქართველოს ვკარგავთ.

იხ. 4 გვ.

მიხეილ სააკაშვილის გამოსვლები სასამართლოს სხდომებზე კვლავ დიდი განსჯის საგანია

„მე გავხდი საქართველოს პირველი მმართველი, ლუარსაბ მეფის შემდეგ რომელიც მოხვდა პატიმრობაში, ეს არის ყველაზე დიდი სირცხვილი“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და აღნიშნა: **არ აღიარებს პროკურატურას და ძართულ მართლმსაჯულებას — 7 ნოემბრის პროცესს შს მინისტრი მართავდა, თვითონ ტელევიზორით უყურებდა და არავისთვის დირექტივა არ მიუცია; არანაირი „ბირგვლიანის საქმე“ არ არსებობს და ასე პიარისთვის დაარქვეს; გაოგნებულია, რომ შეწყალების გამო ასამართლებენ, ვინაიდან შეიწყალა ის ოფიცრები, რომლებიც იმ 280 სამხედროს შორის იყვნენ, ვინც 2008 წლის ომის შემდეგ ამნისტიით გათავისუფლა ციხიდან; მის მიერ ამნისტირებული კი თმებით დაათრევდა გლდანის ციხეში“...**

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც სააკაშვილმა გაახმიანა, 2008 წლის აგვისტოს ომს ეხებოდა. ექსპრეზიდენტის თქმით, 2008 წელს პუტინმა შემოუთვალა, რომ მას და მის ოჯახს სასწრაფოდ დაეტოვებინა თბილისი!..

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** აცხადებს, რომ სააკაშვილი იტყუება და ცდილობს თავის ფანტაზიაში ჩასვას საფრანგეთის ექს-პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, რომელიც 2008 წელს შუამავალი იყო საქართველოსა და რუსეთს შორის. მისი თქმით, თუ ვლადიმერ პუტინის მიზანი იყო თბილისის აღება და სააკაშვილის აყვანა, ნამდვილად ამის პრობლემა არ ექნებოდა, მით უმეტეს, რომ თბილისის გარეუბნებში შემოსული იყო რუსეთის გერეუ და ელოდებოდნენ ოპერატიულ ბრძანებას თბილისის აღებასთან დაკავშირებით.

„ესეც იმ სერიიდან არის, რუსულ სამხედრო თვითმფრინავებს ღრუბლებში რომ დაემალა. სააკაშვილის სიმართლე არ დაიჯერება, არათუ ტყუილი. რუსეთს, რომ სდომოდა სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა, ამას გააკეთებდა, მაგრამ რუსეთს ყველაზე მეტად აძლევდა ხელს სააკაშვილის პრეზიდენტობა და ამის დასტურია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ როგორ აღმოჩნდა სტრატეგიული ობიექტები რუსეთის ხელში.

როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის ნებართვის გარეშე მოხდა? — არა, რა თქმა უნდა. რუსეთი ცბიერი და ჭკვიანი მტერია და ეს გასაგებია, მაგრამ რასაც სააკაშვილი იგონებს, ეს არის დიდი ფანტაზია. 2008 წელს ნიკოლა სარკოზი იყო ის ადამიანი, რომელიც ჩავიდა რუსეთში, შეხვდა პუტინს და მედვედევს, გამოდის, რომ სარკოზის პირით შემოუთვალა ოჯახის გაყვანა? თუ პირიქით იყო ეს ამბავი? როგორც ვიცი, გაქცევა უნდოდა თბილისიდან და მაშინ სარკოზიმ უთხრა, ფეხი არ გაადგაო.

კონდოლიზა რაისის მემუარებში აღნიშნულია, რომ სააკაშვილი აპირებდა გაქცევას, მაგრამ სარკოზიმ გადაარიქრებინა, რომელიც მთავარი მომლაპარაკებელი იყო ამ პროცესში. საერთოდ, რად უნდოდა სააკაშვილს ვიღაცისგან პუტინის მესიჯის ჩამოტანა, როცა ვანო მერაბიშვილი თვითონ იყო პირდაპირ კავშირში ვიქტორ შეიმანთან და მისი მეშვეობით გადიოდა ე.წ. სილოვიკების დაჯგუფებაზე პატრუშევი-ივანოვი და სეჩინი.

ეს ცნობილი ფაქტია და ასე მიდიოდა მათი კომუნიკაციური ურთიერთობები. ვანო მერაბიშვილი იყო ის ადამიანი, რომელიც იჯდა კრემლის ხაზზე. 2008 წელს სწორედ მერაბიშვილმა გასცა ბრძანება, რომ კოდორის ხეობიდან გამოსულიყო ჩვენი შეიარაღებული ძალები და მთელი უახლესი იარაღი ჩააბარეს რუსეთს. ვანო მერაბიშვილი იყო ყველაზე ხელსაყრელი პიროვნება პუტინისთვის“, — აღნიშნა **ვახტანგ მაისაიამ.**

* * *

ანალიტიკოს **ამირან სალუქვაძის** შეფასებით, ექს-პრეზიდენტი პარალელურ სამყაროში ცხოვრობს, ჩარჩენილია „პრეზიდენტობის ეპოქაში“. მოსახლეობას ისევ ამადლის შუქს და გაზს. პოლიციელებსა და ჯარისკაცებს კი ამადლის 15 თუ 17 წლის წინ შეკერილ ფორმებს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ბიუჯეტის ფულით არ იყო ნაყიდი და ეს ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება იყო. მისი თქმით, თავდაცვის ძალების გამოყვანა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ, ეს არის უმძიმესი დანაშაული.

„8 წლის წინ ჟურნალისტ გ. გაბუნიასთან ინტერვიუში იმასაც ამბობდა, რომ ნატოზე უარის თქმა შესთავაზა მედვედევს, მაგრამ წერილში მსგავსი არაფერია ნათქვამი, გამოაქვეყნოს ეს წერილი. ომის დროს ფოსტით გამოუგზავნა წერილი, დაურეკა, თუ როგორ შედგა ეს კომუნიკაცია? ომის დროს მოწინააღმდეგე მხარის პირველმა პირმა რომ გითხრას გაიქეციო, უნდა გაიქცე? ეს სატრაბახო იყო?

უბრალოდ, ამით უნდათ შეფუთონ სასამართლო პროცესი, რომ პუტინის პატიმარია. უხეშად, რომ ვთქვათ, ამ ოთხი ხელისუფლებიდან კოლექტიურ პუტინს, ანუ კრემლს ყველაფერი გაუკეთა სააკაშვილის ხელისუფლებამ. საქართველოს შემდგომი ხელისუფლებები იმდენს ვერ გაუკეთებენ პუტინს, რაც 9 წლის განმავლობაში გაუკეთა სააკაშვილის ხელისუფლებამ. ამიტომ, არ მჯერა სააკაშვილის ამ ზღაპრების“, — ამბობს ამირან სალუქვაძე.

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, აგვისტოს ომის გამო დასასჯელი იყო თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დონის ხელმძღვანელობა, მაგრამ პირიქით გააკეთეს, ზედა ეშელონები წახალისეს, ხოლო ვინც გმირობა გამოიჩინა ბრძოლის ველზე, მათი დევნა დაიწყეს.

„მე არ მჯერა, რომ პუტინმა შემოუთვალა. გამორიცხულია, რუსეთმა ომის დროს ვინმეს დაურეკოს და უთხრას, გაიქეციო! რუსეთს რაც უნდოდა, ბრწყინვალედ განახორციელა. რომც შემოეთვალა, მერე რა? ამ ფრაზის მიზანი რა არის? ერთადერთი მიზანი რატომაც ამ ყველაფერს აკოწიწებს, არის ის, რომ პუტინი არის დამნაშავე.

პუტინმა უბრძანა 7 ნოემბრის სადამსჯელო ოპერაციის ჩატარება? პუტინმა დაახარჯვინა 9 მილიონი — პიჯაკების საქმე რომ დაარქვეს? სხვა რაღაცა შეუძლიათ დაარქვან — „ეროტიკული მასაჟის საქმე“, „სუშის საქმე“, „ოქროს სამკაულების საქმე“ და ა.შ. ათობით მილიონი ღირს მისი სახლები, მაიამის ვილა ვიხილეთ, კიევში ორი სახლი აქვს, ასევე ოდესაში. იმ 9 მილიონზე ხომ უნდა ილაპარაკონ ადეკვატურად და გაიძახიან პიჯაკების საქმეო, სრული კატასტროფაა. ეს არის მაგათი აღქმა“, — აღნიშნა **ამირან სალუქვაძემ.**

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

კონდოლიზა რაისი: სააკაშვილი აპირებდა გაქცევას, მაგრამ სარკოზიმ გადაარიქრებინა!..

(მესამე გვერდიდან)

ანალიტიკოს **ლადო ბოჟაძის** აზრით, ძალიან სამწუხაროა, რომ დამოუკიდებლობის 30 წლისთავზე, როცა ჩვენ ბრძოლით მოვიპოვეთ და აღვადგინეთ დამოუკიდებლობა, როცა 30 წელია გვაქვს სახელმწიფო, რომელიც მიისწრაფვის ევროატლანტიკური სივრცისკენ, გვაქვს ყველა ატრიბუტი, რაც უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის ჩათვლით, რომელიც დიდწილად სწორედ რუსეთის და სააკაშვილის უპასუხისმგებლო ქმედებებითაა გამოწვეული, საქართველოს ვაიგივებთ რომელიმე ადამიანთან. ლადო ბოჟაძის შეფასებით, რამდენი დიდი მეფე თუ პოლიტიკოსი ჰყოლია ამ ქვეყანას, რამდენი უბედურება გადაუტანია, მაგრამ საქართველო გადარჩენილა და გადარჩება ახლაც.

„როგორ შეიძლება, რომელიმე ერთ ადამიანზე იყოს საქართველო მიბმული, როგორც სახელმწიფო, როგორც სამშობლო და ინსტიტუცია?! ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია? იმავე პრეზიდენტის ინსტიტუტს უნდა გავუფრთხილდეთ და შევინარჩუნოთო და ამ დროს მიდიან და მოქმედ პრეზიდენტს ლანძღავენ და აგინებენ, უკრაინის მოქალაქე სააკაშვილი როდის მერე გახდა ჩემი ქვეყნის სიმბოლო? რაც შეეხება პაატა ბურჭულაძეს, ის ამ პროცესის ნაწილია. როდესაც პაატა ბურჭულაძემ შიმშილობა წამოიწყო, ის არც მალავდა, რომ მისი შიმშილობა პირდაპირ უკავშირდებოდა სააკაშვილის მიმართ უცხოეთის ყურადღების მიქცევას. ელოდა, რომ საოპერო წარმომადგენლები გამოეხმაურებოდნენ მისი, როგორც მსოფლიო ბანის შიმშილობას და მერე, ალბათ, გამოეხმაურებოდნენ სააკაშვილის თემასაც“, — აღნიშნა ლადო ბოჟაძემ ჩვენთან საუბრისას.

მისივე განმარტებით, **საქართველოსა და მიშას შორის ტოლობის ნიშანი არის შეურაცხყოფა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის, ყველა იმ ადამიანის შეურაცხყოფა, ვინც იბრძოლა ჩვენი ქვეყნისთვის. არც ერთ ქვეყანაში ერთ ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ტოლობა არ დასმულა, არც საქართველო იქნება გამონაკლისი ამ მხრივ და, სავარაუდოდ, ეს პროცესები დაუბრუნდება ჩვეულ კალაპოტს. კიდევ კარგი, დასრულდა იუმორის ჟანრი, როცა გვაჯერებდნენ, რომ გაუთავებლად ვილაც შიმშილობდა და შეიძლება, გვარამიას ფანტაზია უფრო შორს წასულიყო და 148-ე დღესაც ეთქვა, სააკაშვილი შიმშილობსო...**

მანანა ნოზაძე

უკრაინის მოქალაქე სააკაშვილი როდის მერე გახდა ჩვენი ქვეყნის სიმბოლო?!

სააკიანთ ბიჭი ისტორიაში ტყემალზე ზის, თანაც მკვახეზე!

ლუარსაბიდან მერამდენეა მიშა?

ამ ხალხს თითქოს აკლდა ენის საფხანი და მიეცა. 29 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც საქართველოს მესამე პრეზიდენტის პროცესი დაიწყო, განსასჯელმა საათნახევრიანი ისეთი განცხადება სჭქა, წელიწადნახევარი ეყოფა განსჯის და უთავბოლო კამათის მოტრფიალე ჩვენს ღერა-ღერად დანაწევრებულ საზოგადოებას.

დარბაზში იფრქვეოდა მიშას უმანკო ფიცი: არაფერში დამნაშავე არა ვარო, 7 ნოემბერს რომ ხალხს თავ-ყბა გაუერთიანეს და სისხლის კალო დაატრიალეს, მე საღათას ძილით მეძინა, რომ გამოვიღვიძე, მერეღა შევიტყვე, რაც ჩაუდენია ჩემს უგუნურ შინაგან საქმეთა მინისტრსო (დაბალ ღობეს — ვანო მერაბიშვილს შეაწმინდა ხელი), არავითარი „გირგვლიანის საქმე არ არსებობს, ეს პროპაგანდისთვის ააგორეს ავისმდომელებმაო, მე შევქმენი სახელმწიფო, ავაშენე ბათუმიო, გამათავისუფლეთ და ორ კვირაში დავდებ რიგგარეშე არჩევნებსო. ერთი სიტყვით, როგორც სიმღერაშია: მიშა „მაგარიაო“ და სხვა.

იდგა ეს ლამის ორი თვის ნაშიმშილევი, იალაღიდან დაბრუნებულ ბუღასავით მოხეთქილი კაცი და თავისი თავით კმაყოფილებას ვერ მალავდა. მალავდა კი არა, თვალდათვალ ტკბებოდა ცხოვრებით. ბილწსიტყვაობდა ადვოკატი ნიკოლოზ გვარამია (სწორედ რომ საკვირველია, რატომ არ გააძევეს იგი სასამართლო დარბაზიდან?!).

გარეთ კი „მიშა, მიშას“ სკანდირებით ბობოქრობდა ხალხი (რომელსაც ნიჭიერად დირიჟორობდა ღრიალა გიგი უგულავა) და პოლიციას აშკარად იწვევდა პროვოკაციაზე. ერთი სიტყვით, სპექტაკლი იყო უკუღმართად დადგმული და გულისამრევი, რომელშიც ცხვირ-მოუხოცავ, მოსეირე გოგო-ბიჭებთან ერთად საპატიოასაკოვანი ბიძიები და დეიდებიც მონაწილეობდნენ.

მაგრამ ეს ისე, ხელსატაცი შთაბეჭდილებისთვის, რომლის განსჯა-განზოგადებასაც არ ვაპირებ. მე მხოლოდ მ. სააკაშვილის „პოლიტიკური განცხადების“ ერთი ფრაზის, ერთი დებულების შესახებ მინდა ვესაუბრო მკითხველს.

ცნობილია, რომ მიხეილ სააკაშვილს უყვარს საქართველოს ისტორია. უფრო სწორად, უყვარს „სიტყვის მასალად“ ისტორიული ფაქტების მოხმობა, ანუ ნათქვამის ისტორიული ფაქტებით დამოწმება-გალამაზება.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ, როგორც წესი, ბატონი მიშა ცდება ხოლმე, სწორად ვერ იმოწმებს ისტორიას, რადგან ისტორია ერთობ მწირად, აგერ-ეგერ, ყურმოკრულად იცის. მისი ეს კოჭლი ცოდნა არაერთგზის გამომიმზეურებია, თუმცა „არ მოიშალა მიშამა შავი თოლების ბრიალი“...

აი, იმ დღესაც, როცა თავის, როგორც პრეზიდენტის პატიმრობას გაუსვა ხაზი, თქვა: საქართველოს ისტორიაში ლუარსაბ მეფიდან გასულ 400 წლის მანძილზე პირველი დაპატიმრებული ქვეყნის მმართველი ვარო. მოქნეული შედარებაა. ხედავთ, აქაც პირველია მიშა, ასეც შევა ის საქართველოს ისტორიაში: ლუარსაბ II-დან 400 წლის შემდეგ დატყვევებულ-დაპატიმრებული ქვეყნის ხელისუფალი!

ოღონდ, საქმე ის არის, რომ ეს ფაქტი მართალი არ არის, პირველი კი არა, მეხუთეა!

ახლა ცოტა ვრცლად, რათა მესამე პრეზიდენტის (აქაც რომ არ გაუმართლა!) მოკირკიტეობა და ცრუმამტყუნებლობა არ დამწამონ.

ქართლის მეფე (1606-1614წ.წ.) **ლუარსაბ** II ბედუკულმართი კაცი იყო. 1609 წელს ტაშისკართან გმირულად იბრძოლა ოსმალთა და ყირიმელ თათართა წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მხარდამხარ. ცოლად მოიყვანა დიდი მოურავის და. მაგრამ ამ მეზალიანსს (სააკაძე მაშინ რიგითი აზნაური იყო) წინ აღუდგნენ ქართლის დიდი თავადები, მეფის ლალა შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი და სხვ. და ლუარსაბი საყვარელ ცოლთან გაყრაზე და გმირი ცოლისძმის მოკვლაზე დაითანხმეს. დიდმა მოურავმა ძლივს გაასწრო ოჯახით სპარსეთში.

1614 წელს ირანის შაჰი აბას I საქართველოს წასახდენად გამოემართა. კახეთის მეფე თემურაზ I და ქართლის მეფე ლუარსაბ II იმერეთში გადაიხვეწნენ. შაჰმა ისინი თავისთან იხმო. თეიმურაზმა უარი თქვა და ირანელებმა კახეთი იავარჰყვეს, მოსახლეობა გაჟლიტეს ან ირანში გაირეკეს.

ლუარსაბი მიხვდა, თუ არ მიუვალ, ქართლს იგივე დღე დაადგებაო და იმჟამად აზერბაიჯანში მყოფ სიძეს (შაჰ აბასს ცოლად ჰყავდა მისი და ლელა-თინათინი, თათრობაში-ფათმა სულთან ბეგუმი) ეახლა. მასპინძელი ჯერ „სიყვარულით“ შეხვდა სტუმარს, შემდეგ კი გამუსლიმანება მოსთხოვა. როცა უარი მიიღო, ლუარსაბი ასტრაბადის ციხეში ჩააგდო. იქიდან შირაზის გულაბყალას ციხეში გადაიყვანეს. რუსეთის ელჩებმა შაჰს ლუარსაბის გათავისუფლება სთხოვეს. მან აღუთქვა, მაგრამ თან ქართველი მეფის დაუყოვნებლივ მოკვდინება ბრძანა. ჯალათებმა მშვილდის საბელით მოაშთვეს, თავი მოჰკვეთეს და შაჰს მიართვეს. სიძემ ცოლისძმის მოკვეთილი თავი სცემა და ლანძღვა-გინებით ათრია. ეს 1622 წლის გაზაფხულზე მოხდა.

ქართლის ჭაბუკმა მეფემ (იგი სულ 24 წლისა იყო) ზუსტად გაიმეორა ერთიანი საქართველოს მეფის დიმიტრი II თავდადებულის გმირობა. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

ლუარსაბ II

თეიმურაზ I

მეფე ლუარსაბის მარტვილობიდან ახლა წესით მიხეილ სააკაშვილზე უნდა გადავსულიყავით, როგორც 1622 წლიდან გასულ 400 წელიწადში მისი ბედის (როგორც პატიმრის) ერთადერთ მოზიარეზე, მაგრამ მოცდა მოგვიწევს! იქიდან მიშამდე, 2021 წლამდე, ოთხი მეფე გვყავს „რიგში“. მათ შორის პირველი ისეთი მონუმენტური პიროვნება გახლავთ, როგორიც **თეიმურაზ პირველია,** კახეთის მეფე 1606-1648წ.წ., ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632წ.წ., ირანთან შეურიგებელი მებრძოლი, დიდი პოეტი და პიროვნულად უბედური კაცი (შაჰ აბასმა დაუსაჭურისა და დაუხოცა ვაჟები, წამებით მოუკლა დედა-წმინდა ქეთევან დედოფალი), ქართველთა ლაშქარს სარდლობდა მარაბდის ომში და გიორგი სააკაძე დაამარცხა ბაზალეთის ძმათამკვლელ ბრძოლაში... 56 წელი ხმალჩაუგებელი ბრძოლის შემდეგ ირანს გაემგზავრა შაჰ აბას მე-II-სთან შესარიგებლად. 74 წლის ბერიკაცს გამუსლიმანება მოსთხოვეს, უარის შემდეგ ბორკილები დაადეს და ასტრაბადის ციხეში ჩააგდეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

რიგით მეორე პატიმრობანაწვნევი მონარქი იმერეთის მეფე (1605-1633 წ.წ.) **გიორგი** III გახლდათ. ეს მასთან იყვნენ თავშეფარებული შაჰ აბასისგან დევნილი ქართლისა და კახეთის მეფენი ლუარსაბი და თეიმურაზი. გიორგის გაუთავებელი და თითქმის მუდამ მარცხიანი ბრძოლები ჰქონდა ოდიშის მთავარ ლევან II დადიანთან, რომელსაც 1623 წელს ტყვედ ჩაუვარდა და ალექსანდრე ბატონიშვილმა დიდძალი გამოსასყიდით ძლივს დაიხსნა მამა სამარცხვინო ტყვეობიდან.

მესამე იყო იმერეთის მეფე (1660-1661, 1663-1665, 1666-1678 და 1679-1681 წლებში) **ბაგრატ IV.** მუდმივი ბრძოლა ჰქონდა დადიანთან და გურიელთან. გიორგი გურიელმა დაამარცხა, შეიპყრო და ასლან ფაშას მიართვა ახალციხეში. ბაგრატმა ფაშას ქრთამი შეაძლია, მძევლად ვაჟი ალექსანდრე მისცა და 1678 წელს იმერეთის ტახტი დაიბრუნა.

სიაში მეოთხე გახლავთ კიდევ ერთი იმერეთის მეფე **ალექსანდრე IV** (1683-1690, 1691-1695 წ.წ.). მტრობა

გიორგი III

სვიმონ მეფე

და ქართლის მეფე გიორგი XI-ს. ილაშქრა ქართლზე, სოფელი ალი აიღო, გაძარცვა და ტყვეებიც წაიყვანა. აუჯანყდნენ თავადები, დაეცნენ სკანდაში მყოფს, შეიპყრეს და გიორგი XI-ს მიჰგვარეს რუისში. გიორგის ბრძანებით ჯერ ხაროში ამყოფეს და მერე დაახრჩვეს.

ასეთია სინამდვილე. ის ნუ აღგვიძრავს ეჭვს, რომ ამ ოთხიდან ზოგი მართლა მეფე იყო, ზოგი კი — მეფუკა. ისინიც მირონცხებულნი იყვნენ!

ერთის დამატებაც შეიძლება „ურიგოდ“: თვით ლუარსაბ II შვილიშვილი იყო დიდი სვიმონ მეფისა (1556-1600წ.წ.), რომელმაც ზეობის 44 წლიდან 12 წელი საპყრობილეებში გაატარა. 1569 წელს ირანელებმა დაატყვევეს ფარცხისის ბრძოლაში კახაბერ ყორღანაშვილის ღალატის შედეგად და ცნობილ ალამუთის ციხეში ჩაგდეს, სადაც 9 წელი გაატარა. 1599 წელს ნახიდურთან ოსმალებთან ბრძოლაში ვინმე თულაშვილი დაეძგერა ცხენით გვერდიდან და ხევში გადაჩეხა. შეიპყრეს და სტამბოლის იედიყულეს ციხეში ჩააგდეს, სადაც სამი წლის შემდეგ აღესრულა.

ამრიგად, ფაქტებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მიშა ლუარსაბის შემდეგ პირველი კი არა მეხუთეა და „სატრაბახოდ“ სულაც არა აქვს საქმე. მართალია, ამით ქვეყანა არ იქცევა, მაგრამ უსიამოვნო, არასერიოზულობის განცდას ტოვებს...

როგორც ზემოთ ვთქვით, მიშას ისტორია უყვარს, ოღონდ ისევ და ისევ — თავისებურად, მიშისტურად, გაუკულმართებულად. ცოდნას წიგნებიდან კი არ იძენს, არამედ დედის — „საქართველოს ისტორიის პროფესორის“ (აქამდე თითქოს ვიცოდით, რომ თურქოლოგი იყო) ქალბატონი გიული ალასანიას მონათხრობებით.

ბატონმა მიხეილმა უთუოდ უნდა გაითვალისწინოს ეს და, სანამ თავის საქებრად რამეს დაახეთქებს, გონებაში გადაამოწმოს ხოლმე დედის ნაამბობი.

ალეკო ასლანიშვილი

ღარიბ ქვეყანაში დემოკრატიაზე ლაპარაკი თითქმის შეუძლებელია!

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, პოლიტოლოგი ირაკლი გოგავა ფიქრობს, რომ საქართველოში მმართველობის რამდენიმე მოდელი შეიძლება იყოს ეფექტური. პირველი ვარიანტი, ეს არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა დაფუძნებული კონტროლის უძლიერესი მექანიზმები. მეორე ვარიანტია კონსტიტუციური მონარქია, რომელიც ძალიან საინტერესო მოდელია, რადგან მონარქის და ნებისმიერი მმართველის მთავარი ფუნქციაა ჩაიბაროს, შეინარჩუნოს, გაამრავლოს და გადასცეს! მისი თქმით, რომ გადავხედოთ მსოფლიო მონარქიებს და საპრეზიდენტო რესპუბლიკებს ძლიერი მაკონტროლებელი სტრუქტურებით, სწორედ ისინი არიან ყველაზე განვითარებული ქვეყნები.

მონარქი მეფობს, მაგრამ არ მართავს!

— დამოუკიდებელმა საქართველომ სახელმწიფო მმართველობის ფორმად საპრეზიდენტო რესპუბლიკა აირჩია, შემდეგ სააკაშვილმა ეს შეცვალა და საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი შემოიღო. როგორ ფიქრობთ, რომელი უფრო ეფექტურია?

ირაკლი გოგავა: სახელმწიფო მმართველობის ფორმა განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოების სისტემის მოწყობის მიხედვით. ამ ორგანოების ჩამოყალიბების, დაკომპლექტების, კომპეტენციის, ურთიერთდამოკიდებულების წესით. თანამედროვე სამყაროში არსებობს შემდეგი ძირითადი ფორმა: საპრეზიდენტო, საპარლამენტო, შერეული, საპარლამენტო მონარქია, აბსოლუტური მონარქია, დუალისტური მონარქია, ერთპარტიული სისტემა, სამხედრო დიქტატურა. საპარლამენტო რესპუბლიკას კიდევ ორ ნაწილად ყოფენ: სადაც პრემიერია აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი და მეორე, სადაც — პრეზიდენტია.

— გამოდის, რომ სახელმწიფო მმართველობის ფორმის ცვლილება ჩვენთან, ანუ ის რომ ჩვენ საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან გადავედით საპარლამენტო რესპუბლიკაზე ურთულეს გეოსტრატეგიულ პროცესებთან და ისტორიულ კატაკლიზმებთან, ამ პროცესებთან არის დაკავშირებული?

— რა თქმა უნდა. ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა იძლევა საშუალებას სახელმწიფომ ძალების სრული კონსოლიდაცია მოახდინოს და ქვეყნის განვითარებისკენ მიმართოს. არის ერთი კაცი, რომელიც პასუხისმგებელია და თუ არსებობს მისი კონტროლის მყარი მექანიზმები: პარლამენტი, სასამართლო, აუდიტი, თავისუფალი მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ომბუდსმენი, ანტიმონოპოლიური სამსახური, ეფექტურად შეიძლება აკონტროლო ხელისუფლება. ჩვენთან კი მეტ-ნაკლებად ნორმალურად მუშაობს სასამართლო — დანარჩენი კი პროფანაცია, ანუ იმიტაციაა.

თავისუფალი მედია სულს ღაფავს უფულობისგან და თუ რომელიმეს გაუმართლებს და შემთხვევით წარმატებას მიაღწევს — რომელიმე ინტერესების ჯგუფს მიეყიდება, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობს, მაშინ როდესაც პარტიული ანუ მიკერძოებული ტელევიზიები ტყუილის აღლუმს გვიტარებენ „ნონ-სტოპ“ რეჟიმში და დიდწილად ნაძარცვი ფულით ფინანსდებიან. აუდიტი ფიქციაა და ზრდილობისთვის დაწერს ხოლმე რამდენიმე შენიშვნას, არასამთავრობო ორგანიზაციები სხვა სახელმწიფოს სამთავრობო სექტორია რეალურად. რეალური სამოქალაქო აქტივიზმი კი ყველანაირად იჩქმალება.

ომბუდსმენი უცხოეთის სამსახურშია. პარლამენტში პოლიტიკა და ამ პოლიტიკისთვის საჭირო კანონები არ იქმნება, ისინი ნოტარიუსებივით უმტკიცებენ მთავრობას ყველაფერს, რასაც შეიტანს. ასეთ ვითარებაში საერთოდ მმართველობის ფორმებზე საუბარს, არ ვიცი თუ აქვს აზრი. ჩვენთან იმიტაციური დემოკრატიაა.

საერთოდ ღარიბ ქვეყანაში დემოკრატიაზე ლაპარაკი რთულია, თუ შეუძლებელი არა.

ჩვენთან ერთ სულ მოსახლეზე მშპ არის $5000-მდე და ესეც არ ნაწილდება სამართლიანად, „ჯინის ინდექსით“ მაჩანჩალები ვართ. მინიმუმ $15,000 უნდა იყოს, თანაც სამართლიანად განაწილებული, რომ ვისაუბროთ დემოკრატიის რეალურ განვითარებაზე. მილიონი ადამიანი ითხოვს სოციალურ შემწეობას, 600,000 ღებულობს. აქ რა დემოკრატიაზე უნდა ვილაპარაკოთ?! 30 ლარად მიდიან და მიშას მიტინგზე დგებიან. განათლება?! განათლების დონით მსოფლიოში ასეულს მიღმა ვართ. ვის უნდა ველაპარაკოთ მაღალ მატერიებზე?!

— არ ფიქრობთ, რომ საპრეზიდენტო მოდელიდან საპარლამენტოზე გადასვლა სააკაშვილმა თავის თავზე მოირგო, რადგან ორი საპრეზიდენტო ვადის შემდეგ პრემიერი გამხდარიყო?

— ცხადია, ასეა. იეშმაკა თავისი ჭკუით. გამოუვიდა მაოხრებელი გზირივით: თვითონაც ვერ იხეირა და ქვეყანას საქმე გაუფუჭა. პრემიერების თვლას ველარ ავუდივართ, არავინ არაფერზე არ არის პასუხისმგებელი. ძალიან ცუდად დაგვიბრუნდება ის, რომ გაუქმდა მაჟორიტარული არჩევნები და 2024 წელს მხოლოდ პარტიული სიებით უნდა ავირჩიოთ. ეს ნიშნავს, რომ ძლიერი, ავტორიტეტული პიროვნებები ჩამოაშორეს პოლიტიკას, 5 ცნობად სახეს დაგვანახებენ პარტიულ სიაში და დანარჩენი ვალოდია ჯინჭარაძეები იქნებიან. პირადი პასუხისმგებლობა არავის არაფერზე ექნება ამომრჩევლის წინაშე. ეს პოლიტიკის შემდგომ დეგრადაციას გამოიწვევს, ხალხი საერთოდ ჩამოაშორეს პოლიტიკას და არჩევნებს.

ჩვენ გვგონია, რომ ფსკერზე ვართ, მაგრამ ფსკერის ქვემოდან მომავალი კოალიციური მთავრობა გვიკაკუნებს. კოალიციური მთავრობა ძალიან აადვილებს გარედან მართვას, ამიტომაც მოაშორეს მაჟორიტარული არჩევნები და მიაღებინეს ეს ცვლილება. წარმოიდგინეთ კოალიცია, სადაც ერთმა პარტიამ აიღო 49% და იძულებულია 1%-იანს მისცეს თითქმის ყველაფერი, რასაც მოითხოვს. ამ 1%-იანი პარტიის ხასიათზე იქნება დამოკიდებული ქვეყნის სტაბილურობა. დიდი ალბათობით, ამ 1%-იან პარტიას გარედან ურჩევენ და ნებისმიერ მთავრობას ან პრემიერს „დააყირავებენ“, თუ არ იქნება დამჯერი და არ გაატარებს სხვის დღის წესრიგს. ასეთი 1%-იანი რამდენიმე რომ დასჭირდეს კოალიციას?! ეს კი ნიშნავს შემცირებული სუვერენიტეტის კიდევ უფრო შემცირებას. ქვეყნისთვის ეს კატასტროფაა.

— რა უნდა გავაკეთოთ, როგორ ჯობია ჩვენი ქვეყნისთვის?

— ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ საქართველოს და აზერბაიჯანის შედარებითი ანალიზი. აზერბაიჯანმა მიაღწია განუზომლად დიდ წარმატებას. იქ მმართველობამ აჩვენა, რომ სუვერენულ პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ალტერნატივა არ აქვს.

— მაგრამ აზერბაიჯანს აქვს ნავთობი და გაზი...

— აქ არ არის საქმე მხოლოდ ნავთობში. მიდგომა უფრო მნიშვნელოვანია. ნავთობის და გაზის სექტორის გარდა უზარმაზარი მრეწველობა განავითარეს, მხოლოდ ქიმიურ მრეწველობაში 100 ქარხანა გუგუნებს, ათასობით ჰექტარზე მეაბრეშუმეობა წამოიწყეს, ჩაის ინდუსტრია ააღორძინეს, საკუთარ ბაზარს იმპორტს არ უთმობენ, რაც შეუძლიათ ცდილობენ თავად აწარმოონ და განავითარეს ბევრი სხვა რამ, 2019 წელს მხოლოდ პომიდორს ყიდდნენ $360 მილიონისას ექსპორტზე.

ყველა უცხო სახელმწიფო „ბატონობით“ ელაპარაკება აზერბაიჯანს. ჩვენ კი კუბილიუსები, კალიურანდები და რამდენიმე პენსიონერი ყოფილი ელჩი ჭკუას გვასწავლიან მენტორული ტონით. ეს განსხვავება მოიტანა აზერბაიჯანში ხელისუფლების კონსოლიდაციამ და სუვერენული პოლიტიკის გატარებამ. ასეთმა მიდგომამ ტერიტორიული მთლიანობის საკითხიც კი მოაგვარებინა, თან ისე, რომ რუსეთის სატელიტი არ გამხდარა.

ჩვენთან რამდენიმე მოდელი შეიძლება იყოს ეფექტური. პირველი ვარიანტი: საპრეზიდენტო რესპუბლიკა. მხოლოდ აქ თუ არ იქნა დაფუძნებული კონტროლის უძლიერესი მექანიზმები, ძალიან ძლიერი ორპალატიანი პარლამენტი, სადაც სენატში რეგიონებიდან მაჟორიტარები იქნებიან და ქვედა პალატაში პარტიები, მივიღებთ „სააკაშვილი-2“-ს ანუ დიქტატორს, რომელიც ხალხს ხოცავს, ქვეყანას ძარცვავს და მიწა-წყალს, ანუ ტერიტორიებს ყიდის.

მეორე ვარიანტია კონსტიტუციური მონარქია. ეს საინტერესო მოდელია, თანაც ჯერ კიდევ არისტოტელე მონარქიას განიხილავდა როგორც ხალხისთვის დადებით ფორმას. მონარქია არის გაიგივებული ეროვნულ სახელმწიფოსთან. მონარქიის ფორმულა — მეფობს, მაგრამ არ მართავს, თანამედროვე მსოფლიოში ეფექტურია. უმწვავესი კრიზისების დროს მონარქს შეუძლია განმუხტოს ვითარება.

ჟან-ჟაკ რუსო იყო განმანათლებელი (ფრანგულად ილუმინატი), მაგრამ ისიც მონარქიას მმართველობის უძლიერეს ფორმად თვლიდა. მონარქი ერთიანობის სიმბოლოც არის, უფრო გახსნილია მონარქია გრძელვადიანი გეგმებისთვის, გამორიცხულია შემთხვევითი ადამიანის მოსვლა სახელმწიფო მეთაურად.

მონარქის და ნებისმიერი მმართველის მთავარი ფუნქციაა ჩაიბაროს, შეინარჩუნოს, გაამრავლოს და გადასცეს. მოკლედ ჩვენთვის ეს ორი ფორმა არის ყველაზე მისაღები, რადგან, სწრაფი განვითარება და მდგრადი ეროვნული ფუძის გაძლიერება ამ ორი სისტემით შეიძლება. გადავხედოთ მსოფლიო მონარქიებს და ძლიერ საპრეზიდენტო რესპუბლიკებს ძლიერი მაკონტროლებელი სტრუქტურებით. სწორედ ისინი არიან ყველაზე განვითარებული ქვეყნები. დანარჩენი დაგვაზიანებს.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა



დიდი მეოცნებენი

რა გსურთ საქართველოსთვის? — „სიხარული და სრული დამოუკიდებლობა“.

გოგლა ლეონიძე

სახელი, მამის სახელი და გვარი (ფსევდონიმიც)

– კონსტანტინე სიმონის ძე გამსახურდია (ს.კ. აბაშისპირელი).

სწავლა სად მიიღეთ?

– ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. უმაღლესი განათლება: პეტროგრადის, ლაიპციგის და ბერლინის უნივერსიტეტებში.

რა არის თქვენი ცხოვრების წყარო?

– პედაგოგიური მოღვაწეობა.

ყოველ წელს ბეჭდავთ რამეს თუ არა?

– ყოველ წელს.

გრძნობთ თუ არა თქვენს თავს პროფესიონალ მწერლად?

– ვგრძნობ.

რა გსურთ საქართველოსთვის?

– ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია.

ეს არის ნაწყვეტი მწერლის მიერ შევსებული ანკეტიდან და იგი იმ საარქივო მასალის ნაწილია, რომელიც სულ ახლახან შეემატა საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის კოლექციას.

უნიკალური არქივი, რომელშიც თავმოყრილია 1917 წელს დაარსებული მწერალთა კავშირის მასალები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრს, მაშინ ცნობილ პუბლიცისტს, ილია აგლაძეს ეკუთვნოდა.

ეს საარქივო მასალა - მათ შორის, ყრილობის წესდების ორი ვარიანტი, მწერლების მიერ შევსებული ანკეტები, მათი ფაქსიმილეები, მწერალთა კავშირისგან ფულის სესხების წერილები, სხდომის ოქმები, ლექსების ხელნაწერები და ა.შ., იმ დროის მწერალთა კავშირზე ბევრ რამეს გვიყვება და მის ისტორიას საინტერესო ფაქტებით ავსებს.

ეს არის პირველი შემთხვევა, უთხრა რადიო „თავისუფლებას“ ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა ლაშა ბაქრაძემ, როცა საარქივო მასალა ლიტერატურის მუზეუმისთვის კულტურის სამინისტრომ შეიძინა.

ლაშა ბაქრაძე გვიყვება, რომ საბჭოთა კავშირის დროს ფართო საზოგადოებისთვის არც კი იყო ცნობილი, რომ მწერალთა კავშირი 1917 წელს ჩამოყალიბდა. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, სიტყვაც არ არის ნათქვამი, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ერთი წლით ადრე, ეს გაერთიანება უკვე არსებობდა. მწერალთა კავშირის საბჭოს მაშინ კოტე მაყაშვილი ედგა სათავეში.

სწორედ კოტე მაყაშვილია ჩანახატზე, რომელიც პაოლო იაშვილს ეკუთვნის და რომელიც გაკეთებულია 7 ოქტომბერს გამართულ მწერალთა კავშირის პირველ ყრილობამდე. ეს იყო ქართველი მწერლების პირველი კონფერენცია.

ილია აგლაძის არქივში დაცულია მწერლების მიერ, ამავე დღეს შევსებული მხოლოდ 27 ანკეტა. ამ მწერლების ნაწილს დღეს სახელებით აღარავინ იცნობს. თუმცა ეს საანკეტო ფურცლები შეუვსიათ მაშინ უკვე ცნობილ მწერლებსაც, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, კონსტანტინე გამსახურდიას, ასევე, იოსებ გრიშაშვილს, შალვა დადიანს, გიორგი ლეონიძეს.

ანკეტის ერთ-ერთ კითხვა ასეთია: რომელ პარტიას აკუთვნებთ თავს? გამსახურდიას პასუხად ჩაუწერია: **სსფ პარტია ანუ საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიაო.**

ლაშა ბაქრაძის აზრით, ამ ანკეტაში განსაკუთრებით საინტერესოა პასუხები კითხვაზე: **რა გსურთ საქართველოთვის?** მისი სიტყვებით, ამ დროს ჯერ კიდევ არ განიხილებოდა საქართველოს სრული დამოუკიდებლობა. ჯერ არც ოქტომბრის რევოლუცია იყო მომხდარი და არც რუსეთისგან ამიერკავკასიის და საქართველოს ფაქტობრივი სეპარაცია იყო დაწყებული. და აი, ამ დროს, არაერთი მწერალი ამ კითხვას პასუხობდა, რომ მათთვის სასურველი იყო თვითმმართველობა, ავტონომია.

ეს კითხვა, ცხადია, გაქრა იმ ანკეტებიდან, რომლებსაც იგივე და სხვა მწერლები უკვე საბჭოთა პერიოდის დროს გამართული მწერალთა ყრილობების წინ ავსებდნენ.

მაშინ კი, 1917 წელს, კონსტანტინე გამსახურდიაც პასუხობს, სასურველი იქნებოდა **ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიაო.** ხოლო კითხვაზე, ვინ უფრო მოგწონთ მსოფლიო მწერლებში? გამსახურდიას ჩაუწერია: გიოთე, იმერსონი, რომენ როლანი, ანატოლ ფრანსი, რუსთაველი და სხვები.

ამ ანკეტებიდან ისიც ირკვევა, რომ მწერლები ძირითადად სოციალ-ფედერალისტურ პარტიაში იყვნენ ან მის იდეოლოგიას იზიარებდნენ.

იოსებ გრიშაშვილს ამ კითხვის გასწვრივ მიუწერია სოციალ-ფედერალისტური პარტია, მერე კი ფრჩხილებში დაუზუსტებია **„უფრო თანამგრძნობლად ვითვლებიო“.**

გამორჩეულ მწერლებად გრიშაშვილს მიაჩნია ჰაინე, შოთა რუსთაველი, „ფსალმუნი დავითისა“ და შექსპირი – **„მხოლოდ ივანე მაჩაბლის ნათარგმანები“** .

ანკეტაში ერთი ასეთი კითხვაც იყო: გიმოგზაურიათ თუ არა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რუსეთში, უცხოეთში?

და იოსებ გრიშაშვილის პასუხია – **„საქართველოს ღობეს არ გავცილებივარ“.**

რა გსურთ საქართველოსთვის? – ამ კითხვას კი გრიშაშვილი ასე პასუხობს: **თავისუფალი, ეროვნული ცხოვრებაო.**

მწერლებს ეკითხებოდნენ, თუ მსახურობთ, სად და რამდენს იღებთო. იოსებ გრიშაშვილის პასუხია: **სად უნდა ვმსახურობდე? არსადო.**

კითხვაზე, შვილი გყავთ თუ არა? გრიშაშვილი პასუხობს - **რა ვიცი?**

შალვა დადიანს კითხვაზე, თუ რომელი მწერლები მოსწონს, დიდი ასოებით ჩაუწერია ერთი მწერალი – სერვანტესი.

ხოლო კითხვაზე, ცოლიანი ხართ თუ არაო, ძახილის ნიშნით ამთავრებს პასუხს: **როგორ არა!**

კითხვაზე, რომელ პოლიტიკურ პარტიას აკუთვნებთ თავსო, დადიანი წერს: **მიყვარს საქართველო.**

გიორგი ლეონიძეს პოლიტიკური პარტიის შესახებ კითხვაზე პასუხად უწერია, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აკუთვნებს თავს.

საქართველოსთვის რა გსურსო, როცა ეკითხებიან, პოეტურად პასუხობს: **სიხარული და სრული დამოუკიდებლობაო.** მწერლების გრაფაში კი ჩაუწერია: ედგარ პო, თაგორი, უაილდი და სხვები.

მსოფლიო მწერლებში ვინ უფრო მოგწონთო – ნიკოლოზ ნათიძე წერს, **ამუამად ვერაფერს ვიტყვი, ბევრი არ წამიკითხავსო.**

ეს არქივი საინტერესოა იმითაც, რომ ის ინახავს მწერლების ხელწერილებსაც, რომლებშიც ისინი კავშირისგან ცოტა ფულს თხოულობენ.

„1920 წლის პირველ სექტემბერს, ქართველ მწერალთა კავშირისგან ორი კვირის ვადით სესხად მივიღე 3000 მანეთი“, - ხელს აწერს პაოლო იაშვილი.



ასეთივე ხელწერილი დაუწერია გალაკტიონ ტაბიძეს და 375 მანეთი უსესხებია. **„მოვალე ვარ მე, გალაკტიონი, რომ ერთი თვის განმავლობაში ეს ფული დავუბრუნო თქვენს კავშირსო“.**

ამავე არქივში შემონახულია სერ ოლივერ უორდროპისადმი მიწერილი წერილიც. მას ამცნობენ, რომ ჩატარდა მწერალთა პირველი კონფერენცია და „გულითად სალამს უძღვნიან საქართველოს უანგარო მეგობარს ოლივერ უორდროპს და სიყვარულით იხსენებენ დაუვიწყარ მარჯორის“...

ან ეს, ვალერიან გაფრინდაშვილის ხელნაწერი სონეტი – მიძღვნილი ილია აგლაძისადმი:

ეს კი ქართველ მწერალთა ხელმოწერებია, რომლებიც ამ დოკუმენტზე შემორჩა.

მწერლების მიერ შევსებული ანკეტები თავმოყრილია ლიტერატურის მუზეუმის მიერ რამდენიმე წლის წინ გამოცემულ მწერალთა ბიოგრაფიების ორტომეულშიც, ოღონდ ისინი, წლების შემდეგ, საბჭოთა პერიოდშია შევსებული. იქ პარტიულ მიკუთვნებულობაზე დასმულ კითხვას მწერლები პასუხობენ, რომ ან უპარტიოები არიან, ან სკკპ-ის წევრები.

თუ შევადარებთ გიორგი ლეონიძის მიერ 1917 და 1950-იან წლებში შევსებულ ანკეტებს, ვნახავთ, რომ ამ უკანასკნელში, კითხვაზე, იყო თუ არა ის სხვა პარტიაში ან რა დროიდან – რა დრომდე, პასუხია – არა, თუმცაკი, 1917 წელს ლეონიძე წერს, რომ ის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აკუთვნებდა თავს.

ილია აგლაძის არქივის გარდა, ცოტა ხნის წინ ლიტერატურის მუზეუმს გალაკტიონის არქივის აქამდე უცნობი ნაწილიც გადაეცა, რომელიც დღესაც არის გამოფენილი გალაკტიონის 130 წლისთავისადმი მიძღვნილ ვერნისაჟზე, მათ შორის არის გალაკტიონის წერილი ძმისადმი, აბესალომ ტაბიძისადმი. შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს, რომ გალაკტიონმა წვერი, თურმე, სწორედ ძმის, აბესალომის გარდაცვალების შემდეგ, 1948 წლიდან, გლოვის ნიშნად მოუშვა – მანამდე მას წვერი არ უტარებია.

დღეს პირად კოლექციებში არსებობს გალაკტიონის არქივის კიდევ უფრო საინტერესო მასალა, რომელსაც სპონსორის არსებობის შემთხვევაში ლიტერატურის მუზეუმი სიამოვნებით შეიძენდა და, როგორც ლაშაც ამბობს, ეს ის დოკუმენტებია, რომლებიც ერთ დღეს აუცილებლად უნდა გახდეს მუზეუმის კოლექციის ნაწილი.

ეკა ძევანიშვილი,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი



რუსეთმა ანტისატელიტური რაკეტა გამოსცადა, რომელმაც კოსმოსში ძველი რუსული უმოქმედო თანამგზავრი გაანადგურა. აფეთქებამ ნარჩენები წარმოშვა და კოსმოსში მოქმედ მისიებს რეალური საფრთხე შეუქმნა. როგორც ამერიკის კოსმოსური სააგენტო NASA იუწყება, ნამსხვრევებმა საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ბორტზე მყოფი ეკიპაჟი — ოთხი ამერიკელი, ერთი გერმანელი და ორი რუსი აიძულა, თავიანთი კოსმოსური კაფსულებისთვის შეეფარებინათ თავი. მიუხედავად იმისა, რომ აფეთქების შედეგად გატყორცნილ ნამსხვრევებს სადგური არ დაუზიანებია, კოსმოსში განადგურებული თანამგზავრის 1500-ზე მეტი ნარჩენი მაინც რეალურ საფრთხეს წარმოადგენს, რომელიც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მეტად დაიშლება, ანუ ნარჩენების რაოდენობა გაიზრდება და, შესაბამისად, რისკებიც მოიმატებს. დასავლეთმა გააკრიტიკა რუსეთის მიერ ანტისატელიტური რაკეტის გამოცდა.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა: **ვგმობთ რუსეთის მიერ ანტისატელიტური რაკეტის გამოცდას საკუთარი თანამგზავრის გასანადგურებლად, რამაც კოსმოსში ნარჩენები წარმოშვა და საფრთხე შეუქმნა ასტრონავტების სიცოცხლეს, საერთაშორისო კოსმოსური სადგურის უსაფრთხოებასა და ყველა სახელმწიფოს ინტერესებს, რომელიც მომდინარე კოსმოსურ ოპერაციებში არიან ჩაბმული. ამერიკის კოსმოსური ძალების მეთაურის, გენერალ ჯეიმს დიკინსონის თქმით, რუსეთი უგულებელყოფს კოსმოსური სივრცის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. რუსეთის ანტისატელიტური იარაღის ტესტები ნათლად აჩვენებს, რომ ის განაგრძობს ანტიკოსმოსური იარაღის განვითარებას, რაც ძირს უთხრის სტრატეგიულ სტაბილურობას და საფრთხეს უქმნის ყველა ქვეყანას,** — განცხადა გენერალმა. ნატომ და ევროკავშირმაც მწვავედ გააკრიტიკეს რუსეთი და დასძინეს, რომ მისი ეს ქმედება იყო წინდაუხედავი ნაბიჯი. რუსეთმა კი, თავისი საქციელის გამართლება სცადა: ამ რაკეტის გაშვება არავის წინააღმდეგ არ იყო მიმართული, ხოლო მისგან წარმოქმნილი კოსმოსური ნაგავი არავითარ საფრთხეს არ უქმნის კოსმოსში საქმიანობასო — ასე განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა.

რას წარმოადგენს ანტისატელიტური იარაღი და რატომ იყო დასავლეთის რეაქცია ასეთი მწვავე? ანტისატელიტური იარაღი ASAT ანუ Anti-Satellite-Weapon არის ნებისმიერი იარაღი, რომელსაც შეუძლია დააზიანოს ან გაანადგუროს ორბიტაზე მოძრავი აპარატი. ასეთი იარაღი ორნაირი არსებობს: ერთია თანამგზავრის ტიპის, რომელიც ანადგურებს სხვა თანამგზავრს; მეორე კი ბალისტიკურ რაკეტას წარმოადგენს და, დედამიწიდან გაშვებული, ანადგურებს მიზანს კოსმოსში. ასეთი რაკეტები ძალიან სწრაფია და საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კოსმოსში განლაგებულ სამიზნეს. ზუსტად ასეთი რაკეტა გამოსცადა რუსეთმა. ცხადია, მსგავს შეიარაღებას მხოლოდ რუსეთს არ ფლობს. ცივი ომის დროს ამერიკა და საბჭოთა კავშირი აწარმოებდნენ ანტისატელიტური რაკეტების გამოცდას. პირველად, ასეთი ტიპის იარაღი ამერიკამ 1959 წელს გამოსცადა. მერე მას საბჭოთა კავშირიც მიჰყვა. ცივი ომის დამთავრების შემდეგ კი, ამერიკამ და რუსეთმა უარი თქვეს ასეთი იარაღის გამოცდასა და განვითარებაზე.

ოცდამეერთე საუკუნეში ამ იარაღის ტესტირება და მოხმარება სხვა ქვეყნებმაც — ჩინეთმა, ინდოეთმა და ისრაელმა დაიწყეს. მსოფლიოში, გამალებული შეიარაღებისა და ომის კოსმოსში გადატანის საშიშროება შეიქმნა. იარაღის ამგვარი ჟღარუნით გამოწვეული რისკების გამო, 2019 წელს ნატომ კოსმოსში საფრთხეთა განეიტრალებისა და სამხედრო თავდაცვის დანაყოფები შექმნა.

* * *

რამდენიმე კვირის წინ სკანდინავიის რეგიონში ერთი ძალიან საყურადღებო ამბავი მოხდა: სამი ქვეყნის, შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის თავდაცვის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. მხარეებმა განმარტეს, რომ ხელშეკრულება ყურადღებას ამახვილებს ამ ქვეყნების შეიარაღებული ძალების განვითარებაზე და ბალტიის ზღვის რეგიონში არსებულ და პოტენციურ საფრთხეთა განეიტრალების შესაძლებლობებზე.

თითქოს, არაფერი არ მომხდარა ისეთი, რაც ქვეყნებს შორის ჩვეულებრივი თანამშრომლობის ზღვარს სცდება, მაგრამ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამ სამი ქვეყნიდან

კოსმოსურ ნაგავზე, სკანდინავიურ ამბავსა და ვესტფალიის ზავზე...

ორი, დანია და ნორვეგია, ნატოს აქტიური წევრია, შვედეთი კი, ნეიტრალურ ქვეყანს წარმოადგენს. მოხდა ისე, რომ გეოპოლიტიკურ და ისტორიულ მოვლენათა შესაბამისი განვითარების შედეგად, შვედეთი და ფინეთი ნეიტრალურ ქვეყნებად გამოცხადდნენ, და ისინი დღემდე ამ სტატუსით მოქმედებენ საერთაშორისო არენაზე, თუმცა, ორივე ქვეყანა ევროკავშირის წევრია და მშვიდობიან პოლიტიკას მისდევენ მეზობელი თუ სხვა ქვეყნების მიმართ. ამ ხელშეკრულებით კი შვედეთმა თავისი საუკუნოვანი პოლიტიკის მოდიფიკაცია გადაწყვიტა და უფრო მეტი მონდომებითა და სიმტკიცით შეუდგა საკუთარ უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე ზრუნვას.

შვედეთის უსაფრთხოებისთვის კი, მთავარი გამოწვევა ისევ და ისევ რუსეთია. აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერამდე, შვედეთის თავდაცვის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვითარება ჩრდილოეთ ევროპაში და ბალტიის ზღვის სრუტეებში გაუარესდა, რაშიც მან რუსეთი დაადანაშაულა. მისი თქმით, რუსეთი აგრესიულად იქცევა და მზადაა თავისი სამხედრო ძალა პოლიტიკური მიზნით გამოიყენოს, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონს ზოგადად, და შვედეთს, კერძოდ. ნორვეგიასა და დანიასთან ხელშეკრულების დადებით, შვედეთი შეძლებს უფრო ადვილად გაუმკლავდეს რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს.

როგორც არ უნდა ვილაპარაკოთ, ფაქტი ერთია: რუსეთის პოლიტიკის გამო, მშვიდობიანი და ნეიტრალური შვედეთი მილიტარიზაციის გზას დაადგა. არც ისე უბრალო საკითხია! მაგრამ ნატოსა და შვედეთს შორის თანამშრომლობის გაფართოების მიუხედავად, შვედეთის გაწევრიანება ნატოს ალიანსში ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ასეთ გადაწყვეტილებას მოსკოვის მხრიდან უკიდურესად უარყოფითი რეაქცია მოჰყვება და გამოიწვევს დაძაბულობის ზრდას ისედაც გაუარესებულ რუსულ-დასავლურ ურთიერთობაში. რუსეთი უკვე კარგა ხანია ხაზს უსვამს, რომ კატეგორიულად ეწინააღმდეგება შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანებას. რუსეთს აღელვებს სკანდინავიისა და ბალტიის ზღვის რეგიონში ნატოს ძალების უპირატესი მდგომარეობა. რუსეთმა შვედეთი უკვე შეიყვანა პოტენციურ მოწინააღმდეგეთა სიაში. არც ნატოს და არც შვედეთს ხელს არ აძლევს მწვავე კომფრონტაცია რუსეთთან. ზუსტად ასეთი ჩარჩო ხელშეკრულებით, და გაწევრიანების გარეშე, შვედეთიც და ნატოც მიზანს აღწევენ, სახელდობრ, ამ რეგიონში რუსული საფრთხეების განეიტრალებას.

* * *

ომების, დაპირისპირებების, სისხლისღვრისა და პოლიტიკური ინტრიგების მეტი რა ახსოვს ამ ჩვენს ბებერ დედამიწას! ამ კონფლიქტების შედეგად, დროდადრო, სტიქიურად იქმნებოდა ალიანსები, სამხედრო კავშირები, და ასევე სპონტანურად იშლებოდა მერე. ერთი შეხედვით, თითქოს, დღესაც არაფერი შეცვლილა. ახლაც იქმნება და იშლება ალიანსები, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით!

სინამდვილეში კი, როგორც ცნობილი ამერიკელი დიპლომატი და ისტორიკოსი ჰენრი კისინჯერი თავის გახმაურებულ წიგნში „მსოფლიო წესრიგი“ წერს, ჩვენი დრო დაჟინებით და სასოწარკვეთით ეძიებს მსოფლიო წესრიგს, და იქვე დასძენს, რომ მაინც ქაოსი გველოდება, რადგან ჭეშმარიტად გლობალური მსოფლიო წესრიგი დედამიწაზე არასოდეს არსებულაო. მსოფლიო დიპლომატიამ, იმ შორეულ საუკუნეებთან შედარებით, მნიშვნელოვნად რომ წაიწია წინ, რად გინდა თქმა. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა გარკვეულ ჩარჩოებში მოექცა და სწორედ მაგიტომაა, რომ ხშირად პიკზე მისული დაპირიპირება მშვიდობით დასრულებულა და შეიარაღებული კონფლიქტისთვის მოხერხებულად აგვირიდებია თავი.

პოლიტიკოსებისა და დიპლომატების თავგამოდება კი, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა გარკვეულ და ყველა მხარის მიერ აღიარებულ ჩარჩოებში მოქცეულიყო, ანუ მსოფლიო წესრიგის დამყარების ცდილობა, თითქმის ოთხი საუკუნის წინათ დაიწყო დასავლეთ ევროპაში. ეს მოხდა გერმანიის ცნობილი რეგიონის ვესტფალიის სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც მსოფლიოს ისტორიაში შევიდა როგორც ვესტფალიის ზავი. ითვლება, რომ წესრიგი ერთა შორის ურთიერთობებში ათვლას სწორედ ამ ზავიდან იწყებს, და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ეპიზოდია მსოფლიო ისტორიაში. ვესტფალიის ზავი საწყისი ეტაპია თანამედროვე ტიპის დიპლომატიის გაჩენასა და დამკვიდრებაში.

ვესტფალიის სისტემამ ჩაუყარა საფუძველი დღევანდელი ქვეყნების თანამეგობრობას. ის მიზნად ისახავს, მსოფლიოს ანარქისტული ბუნება საერთაშორისო სამართლებრივი და ორგანიზაციული სტრუქტურების ვრცელი ქსელის საშუალებით, შესაბამის კალაპოტში მოაქციოს. მან ხელი უნდა შეუწყოს თავისუფალ ვაჭრობასა და სტაბილური საერთაშორისო ფინანსური სისტემის ოპტიმალურ მუშაობას, უნ-

და დაამკვიდროს საერთაშორისო სადავო საკითხების გადასაჭრელად საყოველთაოდ მისაღები პრინციპები და, თუკი ომამდე მივა საქმე, უნდა შეზღუდოს ასეთი კონფლიქტების გაფართოება და გავრცელება. სახელმწიფოთა შორის არსებული წესრიგის ეს სისტემა დღეს ყველა ცივილიზაციურ სეგმენტს, კულტურასა და რელიგიას მოიცავს და ერთა მშვიდობიანი თანაარსებობის ყველაზე დიდი და საიმედო გარანტიაა. დღეს, ხშირად გვესმის ხოლმე საუბარი ახალი მსოფლიო წესრიგის შესახებ. ამ საკითხზეც იმართება ფორუმები და კონფერენციები, იწერება სტატიები და წიგნები. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო, თუ დაგაინტერესებთ, არის ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსისა და პოლიტმეცნიერის ზბიგნევ ბზეჟინსკის მოსაზრება, რომელიც წარმოდგენილია მის ლეგენდარულ პოლიტმეცნიერულ გამოკვლევში, სათაურით, „ჭადრაკის დიდი დაფა“. ჩვენ კი, ამ მოკლე გადაცემაში, ცხადია, ყველაფრის მიმოხილვას ვერ შევძლებთ ერთბაშად. დღეს ამით დავამთავრებ.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

თეთრი სახლი რუსეთს ემუქრება

აშშ-მა ცალსახად დაადასტურა, რომ უყოყმანოდ მიიღებს რუსეთის წინააღმდეგ დამატებით ზომებს, მათ შორის ეკონომიკურს, თუ ის უკრაინის წინააღმდეგ აგრესიას განახორციელებს. ამის შესახებ ბრიფინგზე თეთრი სახლის პრესმდივანმა, ჯენ ფსაკიმ განაცხადა.

„ენტონი ბლინკენმა ნათლად თქვა, რომ ამ ზომების გამოყენებისგან თავს არ შევიკავებთ, მაგრამ ამას გავაკეთებთ ჩვენს პარტნიორებთან და მოკავშირეებთან მჭიდრო კოორდინაციით“, — აღნიშნა ფსაკიმ. მისივე თქმით, ამ საკითხზე აშშ აქტიურად თანამშრომლობს არა მხოლოდ პარტნიორ ქვეყნებთან, არამედ პირდაპირ კავშირზეა უკრაინასა და რუსეთთანაც. 30 ნოემბერს, ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა განაცხადა რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ აგრესია ძვირად დაუჯდება, რასაც სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები მოჰყვება.

„ჩვენ არ ვიცით, მიიღო თუ არა პრეზიდენტმა პუტინმა უკრაინაში შეჭრის გადაწყვეტილება. ჩვენ ვიცით, რომ ის აყალიბებს ამის შესაძლებლობას. თუ რუსეთი დაპირისპირების გზას გაჰყვება, ჩვენ ნათლად განვაცხადეთ, რომ მტკიცედ ვუპასუხებთ, მათ შორის, მაღალი გავლენის მქონე ეკონომიკური ზომების გამოყენებით, რომელთა განხორციელებისგან წარსულში თავს ვიკავებდით“, — აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა ნატოს მინისტერიალის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ერთიანი ევროპა მტკიცედ დგას უკრაინის გვერდით

საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ჟოზეფ ბორელმა განაცხადა, რომ ევროკავშირი მტკიცედ დადგება უკრაინის გვერდით მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შელახვის ნებისმიერი მცდელობის წინაშე.

„მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ევროკავშირისთვის უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი ყველაფერზე მაღლა დგას. ჩვენ მტკიცედ დავდგებით უკრაინის გვერდით მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შელახვის ნებისმიერი მცდელობის წინაშე“, — აღნიშნა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა.

ჟოზეფ ბორელის თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ცხადი გახდეს, რომ უკრაინის წინააღმდეგ ნებისმიერ აგრესიას ძლიერი პასუხი მოჰყვება.

ნიკოლოზ კეზელი (ცენტრში, ეროვნულ სამოსში) საკუთარ საწარმოში

სევდიანი ისტორია უნიკალური მეწარმე-მეცენატისა

შვეიცარიული ყველის წარმოება საქართველოში

ყველი, რომელიც ქართველი კაცის კვების რაციონში საპატიო ადგილს იკავებს, დღეს გავრცელებულ პროდუქტებში ისეთივე უძველესია, როგორც პური და ღვინო. ჩანაწერები, არტეფაქტები მოწმობენ, რომ ყველის წარმოება, ანუ რძისგან იმ საკვები პროდუქტის დამზადება, რომელსაც ყველს ვეძახით, უხსოვარი დროიდან დაიწყო. მსოფლიოში მრავალი დასახელების ყველი არსებობს, მათ არც ქართული ყველი ჩამოუვარდება. საქართველოში, თითქმის ყველა კუთხეში, ოდითგანვე აწარმოებდნენ ყველს და დღესდღეობით ათეულობით დასახელების ყველი არსებობს, ბევრი კი მივიწყებულია. შორს წაგვიყვანს იმის ჩამოთვლა, თუ რამდენ სასარგებლო ელემენტს შეიცავს ყველი, რომელსაც ადამიანის ორგანიზმისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მსოფლიოში ყველის 500-ზე მეტი პოპულარული სახეობაა. ყველასთვის ცნობილია შვეიცარიული ყველი, „მოცარელა“ და „პარმაზანი“, „კაჩკავილი“ და „ჩანახი“, განსაკუთრებით ცნობილია მეგრულ- სვანური სულგუნი და აღმოსავლეთ მთიანეთის „გუდის“ ყველი.

სულგუნის წარმოება სამეგრელოში კვარაცხელიას ჯიშის ძროხებთან არის დაკავშირებული, რადგან საუკეთესო ყველი სწორედ ამ ჯიშის ძროხის რძისგან მზადდებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ იმპერატორის ძმა, დიდი თავადი მიჭვინთიდან ეტლით ბორჯომში მიემგზავრებოდა. მან სამეგრელოს გავლისას მთის ფერდობებზე წვრილფეხა, წითელი ჯიშის, მომცრო ტანის ძროხები შენიშნა და ბრძანა, ეტლი შეეჩერებინათ. გაიკითხა თუ ვისი ნახირი იყო, თავისთან იხმო პატრონი და დაწვრილებით გამოჰკითხა მისთვის მანამდე უცნობი ჯიშის ძროხების შესახებ (თავად დიდი მთავარი აგრონომიით ყოფილა გატაცებული). აღმოჩნდა ნახირის პატრონი გლეხი, ვინმე კვარაცხელია, რომელმაც იმპერატორის ძმას ძირეულად გააცნო თუ როგორ გამოიყვანა სამეგრელოს მაღალმთიანი რელიეფისთვის შესაფერისი ჯიში, რომელიც წველადობითაც და რძის ხარისხითაც გამოირჩეოდა, თავად ძროხები კი ამტანი და გამძლე იყო. ასე ვთქვათ, იმპერატორის ძმამ ერთი ძროხა „იჩუქა“ და კვარაცხელიას ამ ჯიშის ძროხების გამრავლებასა და რძის წარმოებაში დახმარებასაც შეჰპირდა. ასე გახდა პოპულარული „კვარაცხელიას ჯიშის“ ძროხები და თვით მეჯოგე გლეხიც, რომელსაც ეს პოპულარობა და დიდი მთავრის „ახლობლობა“ საბედისწეროდ გადაექცა – 85 წლის ასაკში 30-იანი წლების რეპრესიებს, დაბეზღებებსა და შურს ვერ გადაურჩა და გადასახლებაში დალია სული! ეს ამბავი კი მასთან ერთად საკანში მჯდომმა კუკუნა იაშვილმა (პოეტ პაოლო იაშვილის ძმისწულმა) საქართველოში ჩამოიტანა.

საქართველოში ბევრმა როდი იცის, რომ მე-19 საუკუნის მიწურულს სწორედ ჩვენთან მზადდებოდა მთელ რუსეთის იმპერიაში ყველაზე პოპულარული – შვეიცარიული ყველი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ადგილობრივ, შვეიცარიულ ყველს და მეტიც, 1888 წელს მოსკოვში გამართულ გამოფენაზე საპრიზო ადგილი და ოქროს მედალიც დაიმსახურა.

შვეიცარიული ყველის წარმოება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, როდესაც შვეიცარიელმა მეწარმემ, გვარად **კუჩენბახმა,** დმანისის მიმდებარედ, ორბელიანების კუთვნილი მიწებიდან წარმოებისთვის 2500 ჰექტარი სათიბ-საძოვარი აიღო იჯარით, შემდეგ კი ქეიფსა და დროსტარებას გადაყოლილი ქართველი თავადისგან მთლიანად შეისყიდა ეს მიწა. სოფელ სამადლოში შვეიცარიიდან ჩამოიყვანა „შვეცის“ ჯიშის მაღალმწარმოებლური ძროხები, საქართველოში ადგილობრივი ჯიშის ძროხებთან შეაჯვარა და ე.წ. „მეტისებით“ უზარმაზარი ჯოგის პატრონი გახდა. ყველის წარმოებაც დაიწყო და სამუშაოდ აქაური დუხობორები დაიქირავა. მათი გადმოცემით კუჩენბახის ფერმა და საწარმო მეტად გასაიდუმლოებული იყო. უკარება უცხოელი ყველის წარმოების საიდუმლოებას არავის უმხელდა და სპეციალისტები თავისი სამშობლოდან ჩამოჰყავდა იმ მკაცრი პირობით, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი კვლავ შვეიცარიაში დაბრუნდებოდნენ და ყველის წარმოების რეცეპტს კავკასიაში არავის გააცნობდნენ. იმავე დუხობორების გადმოცემით კუჩენბახს სულ კინწისკვრით გაუყრია ამ საქმიანობის შესასწავლად მისული მალაკნები. წუნდებულ ძროხებს პირდაპირ სასაკლაოზე გზავნიდა, რათა ადგილობრივებს არ ჩავარდნოდათ ხელში, მაგრამ მალაკნებმა ყასბები მოისყიდეს და მათგან იძენდნენ კუჩენბახის დაწუნებულ ძროხებს, შემდეგ კი ჩუმად გამოიყვანეს „მეტისები“ – შეჯვარებული სახეობა.

1872 წელს თბილისელმა მეწარმემ, გვარად ხუდადოვმა ყარაბულახში (შავწყალზე) ყველის სახარში ქარხანა გამართა. მოსახლეობისგან იძენდა რძეს, მაგრამ წარმოებამ იზარალა და ხუდადოვის ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა. 1879 წელს კუჩენბახთან მომუშავე შვეიცარიელმა ძმებმა ქრისტიან და პეტერ ამტერებმა დაიწყეს ყველის წარმოება. ქრისტიანმა ყარაბულახში, ხოლო პეტერმა მუსაკალაში გახსნეს ქარხნები, საქართველოში ისინი 1929 წლამდე დარჩნენ. მათ 500-600 მეწველი ფური ჰყავდათ, ძირითადად „სემენტალის“ ჯიშის ძროხები, რომლებიც შვეიცარიიდან ჩამოიყვანეს. ჩვენს მხარეში ვერ გაძლეს ამ ჯიშის ძროხებმა და ძმებმა ისინი ადგილობრივ ჯიშთან შეაჯვარეს. მიღებული „მეტისები“ შესანიშნავად შეეგუენ აქაურ გარემოს.

ნ. კეზელის პასპორტი

ნიკოლოზ კეზელის სახლი
უიშვიათესი გამწვანებით ქ. დუშეთში

როგორც ამბობდნენ, ყარაბულახში ფერმა ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან ყოფილა, რომელიც დუშელ ნიკოლოზ კეზელს ეკუთვნოდა. ამის შესახებ მწერალი ზაქარია გულისაშვილი 1900 წელს წერდა: **„დაბა ყარაბულახს ზევიდამ არის მუსა ყალას ციხე, აშენებული საკვირველ მთაზედ, რომლის კონწოხზე, შუაგულ ციხესა, ამოჩუხჩუხებს მშვენიერი წყარო. იგი ვახუშტის მიერაცაა აღწერილი. ახალი პატრონი ამ ისტორიული ნაშთისა გახლავთ ნიკო კეზელი, რომელმაც ეს ადგილი გაამშვენიერა, წყარო შეაკეთა, როცა ამ ყველაფერს უცქერ, გრძნობ, რომ ამ სიმაღლეზე ამოსულს გეუფლება ფერდობიდან დაშვებულის შადრევნის მსგავსი ძალა“.**

სწორედ აქ, 1894 წელს ნიკოლოზ კეზელს დაუარსებია ფერმა, სწორედ ამგვარი ფერმა გაუწყვია სოფელ ოთხთაშუაშიც. ამბადებდა შვეიცარიულ ყველს, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა არამარტო საქართველოში, არამედ რუსეთის იმპერიაშიც. ნიკოლოზ კეზელი მეტად წარმატებული მეწარმე გახდა. მისი მეცენატობა და ხალხისთვის ხელშეწყობა საქვეყნოდ იყო ცნობილი. მასთან მეგობრობდნენ და დუშეთში მის სახლს სტუმრობდნენ ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აქვსენტი ცაგარელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი. 1914 წელს დუშეთის ცენტრში ნიკოლოზ კეზელმა ააშენა ევროპული სტილის ულამაზესი სახლი, ეზოში კი საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი საოცარი, ბირლიანდების მსგავსი გირჩებიანი ნაძვის ხეები ჩარგო. მრავალ გამოჩენილ ადამიანს გაუმართია ხელი. თავისი წარმოებისთვის ახალი, თანამედროვე ტექნიკის შესაძენად ევროპასაც სტუმრობდა. ფინანსურად ეხმარებოდა იქ მყოფ ქართველ სტუდენტებს, მათ შორის ფილიპე მახარაძესაც (ამ ნაცნობობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

იმ დროს საქართველოში მომრავლდა ყველის სახარში ქარხნები, რომლებიც კუჩენბახისა და ნიკოლოზ კეზელის მსგავსად შვეიცარიულ ყველს ამზადებდნენ. ყველის სახარში ქარხნები და ახალი ფერმები დაარსდა ლორეში, ართვინში, ყარსის ოლქში, ჯავახეთში. ყველს აწარმოებდნენ როგორც ადგილობრივი ქართველები, ასევე მალაკნები. 1913 წლისთვის ამიერკავკასიაში 81 შვეიცარიული ყველის სახარში ქარხანა არსებობდა, სადაც მაღალხარისხოვან ყველს ამზადებდნენ და იმპერიის მთელ ევროპულ ნაწილში აგზავნიდნენ.

გასაბჭოების შემდეგ ნიკოლოზ კეზელს მთელი ქონება ჩამოართვეს, მასზე გადამტერებულმა დუშეთის ბოლშევიკური ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, ვინმე ლეჟავამ მთელი ოჯახი სახლიდან გამოაძევა, თვით ნიკოლოზს კი დახვრეტას უპირებდა, რომ არა ფილიპე მახარაძე, რომელსაც ახსოვდა ამ კეთილი მეცენატის მიერ ხელშეწყობა. ბოლოს ფილიპე მახარიძესთან ნაცნობობამ გაჭრა და ნიკო კეზელი დახვრეტას გადაურჩა, მისი ოჯახი კი მათივე საჯინიბოში შეასახლეს. აი, რას წერდა მთავრობისადმი შედგენილ წერილში დაპატიმრებული ნიკოლოზ კეზელი:

„დასრულდა ჩემი ბიოგრაფია. მოყვანილი ფაქტები ნათლად აშუქებენ ჩემს 38-წლიან საზოგადო მოღვაწეობას, რომელმაც მე პირველმა საქართველოში, უცხოელების შემდგომ მოვკიდე ხელი და გავაკეთე ისეთი სამაგალითო და სასარგებლო ახალი კულტურა, როგორიც არის შვეიცარიული ყველის დამზადება, რომელსაც ისინი ჩვენს მიწა-წყალზე დიდი საიდუმლოებით ამზადებდნენ მთელი 30 წლის განმავლობაში. იმედია, არ დატოვებთ უყურადღებოდ ამ ჩემს გაბედულ და დაუღალავ შრომას. ნ. კეზელი“.

ნიკოლოზ კეზელის ევროპულ, ულამაზეს სახლში, სადაც მისი მრავალრიცხოვანი ოჯახისთვის ერთი ოთახიც არ გამოინახა, ჯერ ახალგაზრდობის სახლი გახსნეს. ამჟამად კი, ამ დიდი მეწარმისა და მეცენატის მონოგრამიან სახლში მუსიკალური სასწავლებელია.

ასე დაასრულა სიცოცხლე საკუთარ საჯინიბოში შეფარებულმა დიდებულმა ქართველმა.

ნიკოლოზ კეზელი დაკრძალულია დუშეთის სასაფლაოზე.

დღეს ნიკოლოზ კეზელის შთამომავლები დაფასებული და საზოგადოებისთვის მეტად ცნობილი პიროვნებები გახლავან – **თამარ კეზელი** ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის კათედრის პროფესორი, აკადემიკოს **ლევან ჯაფარიძის** მეუღლე იყო, **რაფო (რაფიელ) კეზელი** ცნობილი ქართველი კინემატოგრაფისტი და ხმის ოპერატორი გახლდათ, რომელიც ათეულობით ქართული ფილმის ტიტრებშია მოხსენიებული, მისი ვაჟი **აჩიკო კეზელი,** ფიზიოლოგი, პროფესორია. ცნობილი ინფექციონისტის, **დურმიშხან კეზელის** შვილები არიან მეცნიერებათა დოქტორები **თამარ კეზელი** და ენდოკრინოლოგი, პროფესორი **დავით კეზელი.**

ცხოვრება გრძელდება, კეზელთა გვარი საქართველოს საკეთილდღეოდ იღვწის.

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო-აგრარული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
გიორგი დეკანოსიძე,
ინჟინერ-ტექნოლოგი.

◎ წინასაარჩევნოდ

ხომ არ შეფერხდება?!

მფრინავი ქართველიო – ხშირად ამკობდნენ ვიქტორ სანიკიძეს ასეთი ეპითეტით, როცა ის გიორგი ცინცაძის გამოზომილი გადაცემით მეორე სართულიდან ბურთის კალათში ეფექტური ჩატენვით აგვირგვინებდა მეგობართა ორსვლიან კომბინაციას.

მას შემდეგ, რაც ტრავმებით გატანჯულმა მრავალ ქვეყანა-კლუბმა „ჯვაროსანთა“ ერთ-ერთმა ლიდერმა კარიერა ნაადრევად დაასრულა და მმართველი პარტიის სიით ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატი გახდა, გული გვწყდებოდა, რომ საყვარელ სახეობას ჩამოშორდა.

როგორც ირკვევა, თურმე არც მთლად მასე ყოფილა საქმე – პარლამენტის კულტურისა და სპორტის, აგრეთვე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების წევრი 11 დეკემბერს დანიშნულ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში დარეგისტრირდა, სადაც მეტოქეობას სკფ-ის მოქმედ თავკაცს **პაატა გურასპაულს** გაუწევს, რომელიც ასევე აღიარებული პროფესიონალია.

ბუნებრივია, საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ჩნდება კითხვა: ხომ არ შეფერხდება შესაძლო საკადრო ცვლილების შემთხვევაში საგაისო თბილისური ევრობასკეტისთვის მოსამზადებელი პროცესი?

სკფ-ის ყოფილი პრეზიდენტები: **ალექსანდრე ჩხეიძე, გოგი ქათამაძე, ბესიკ ლიპარტელიანი, მიხეილ გაბრიჩიძე.**

მოკლედ

სუმო.

ფუკუოკა (იაპონია). კიუშუ ბაშო. მართალია, 34 წლის ყიფილმა ოძეკმა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** უარყოფითი ბალანსი დააფიქსირა – 6:9, მაგრამ, როგორც მე-13 მაეგაშირამ, ელიტურ მაკუუჩი დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა და იანვარში ისევ რჩეულთა შორის იასპარეზებს.

ფარიკაობა.

სოფია (ბულგარეთი). ვასილი ეტროპოლსკის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. 15-წლამდელ მოხმალავე გოგონათა ასპარეზობა. 70-მდე მონაწილე. **„ოქრო“** – ალექსანდრა კუვაევა (მწვრთნელი – **საბა სულამანიძე**).

ფრენბურთი.

საქართველოს თასი. ვაჟები. 8 გუნდი. ნახევარფინალები: ცაგერი – სტუ 3:0, ბათუმი – ქუთაისი 3:1. **ფინალი.** ცაგერი – ბათუმი 3:0. ტურნირის საუკეთესო მოთამაშე – **ალექსი ზაქაიძე (ცაგერი). ქალები. 6 გუნდი. ფინალი.** თბილისი – ბათუმი 3:1. **III ადგილი** – ბოლნისი, **IV ადგილი – ცაგერი.** ტურნირის საუკეთესო მოთამაშე – **ნანა ცერცვაძე (თბილისი).**

ჭადრაკი.

მერსინი (თურქეთი). მე-5 საერთაშორისო ტურნირი. შვეიცარიული სისტემა. 11 ქვეყნის 82 წარმომადგენელი. **„ვერცხლი“** – ფიდეს ოსტატი ირაკლი ახვლედიანი – 7 ქულა.

ფეხბურთი.

3-12 თებერვალს არაბეთის გაერთიანებული საამიროები კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.

როგორც ყოველთვის, ფავორიტები – „ჩელსი“ და „პალმეირასი“ ტურნირში ნახევარფინალიდან ჩაებმებიან, დანარჩენი მონაწილენი კი ადგილობრივი „ალ ჯაზირა“, „ოკლენდი“, „ალ ჰილალი“, „ალ აჰლი“ და „მონტერეი“ იქნებიან.

◎ სუპერთასი

დეკემბრის კამპანიისთვის

„შავი ლომი“ „შევარდენის“ ბაზაზე შეკრებაზე შევიდა და რაგბი ევროპის სუპერთასის დეკემბრის კამპანიისთვის მზადებას შეუდგა.

ქართულ ფრენჩაიზს თამაშების გაწერილი გეგმა კოვიდპანდემიამ აურია და ახლადდაარსებულ ტურნირში ყველაზე ცოტა, ორი თამაში აქვს გამართული. „შავმა ლომმა“ ოქტომბერში ჯერ თბილისში, ისრაელის „თელ ავივ ჰითს“ პირველი ტურის გამოტოვებულ მატჩში სძლია – 33:10, ხოლო მერე მესამე ტურის მატჩში „ლოკომოტივი“ პენზაში დაამარცხა – 27:11. გუნდმა ორივე შემთხვევაში მოახერხა ბონუსის აღება, ქულათა მაქსიმუმით (2 თამაშიდან 10) აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზეა და მხოლოდ „ენისეის“ ჩამორჩება, რომელსაც ერთი თამაშით მეტი აქვს ჩატარებული და 11 ქულა მოაგროვა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ფრენჩაიზს „ენისეისთან“ 30 ოქტომბერს უნდა ეთამაშა, მაგრამ რუსეთში კოვიდსიტუაციის დამძიმების გამო ქვეყანამ საზღვრები ჩაკეტა და გუნდი სოჭში ვერ გაფრინდა. ეს შეხვედრა სავარაუდოდ 2022 წელს, ფლეი ოფების წინ მოეწყობა.

რაც შეეხება მომავალ თამაშებს, „შავი ლომი“ ხვალ „ავჭალაზე“ რუსეთის ვიცე-ჩემპიონ „ლოკომოტივ-პენზას“ მასპინძლობს, რომელმაც აქამდე ოთხივე შეხვედრა დათმო და მცირედი სხვაობით მარცხისთვის 1 ნუგეშის ქულა „თელ ავივ ჰითთან“ აიღო. ეს არის მე-5 ტურის შეხვედრა და 5 დეკემბერს „თელ ავივ ჰითი“ „ენისეის“ უმასპინძლებს. ისრაელის კლუბისთვის ეს პირველი საშინაო შეხვედრა იქნება.

11 დეკემბერს „ავჭალაზე“ 17 საათზე „ენისეის“ დავუხვდებით და სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული, ის გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ამავე დღეს „თელ ავივი“ „ლოკომოტივს“ მასპინძლობს.

18 დეკემბერს მეორე ტურის გადადებული მატჩია და „შავი ლომი“ ფეთაჰ-თიქვაში „თელ ავივ ჰითს“ შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციების ორ-ორი მოწინავე ერთრაუნდიან ნახევარფინალში გადის, სადაც პირველადგილოსნები მასპინძლები იქნებიან. დასავლეთ კონფერენციაში 4 სრული ტური ჩატარდა და 19 ქულით პორტუგალიური „ლუსიტანოსი“ ლიდერობს, მეორე ადგილზე კი 11 ქულით ესპანური „იბერიანზია“.

„ლოკომოტივი-პენზასთან“ თამაშის წინ „შავმა ლომმა“ „შევარდენზე“ ღია ვარჯიში გამართა.

„შავი ლომი“ შეკრებაზე

პირველი ხაზი: **მიხეილ ორაგველიძე, გოგა ქადარია, ნიკა ხატიაშვილი; შალვა მამუკაშვილი, გიორგი ხუროშვილი, თენგიზ ზამთარაძე; გიორგი პერტაია, ნიკა პატარაია, ნიკა აბულაძე, მიხეილ წიკლაური;**

მეორე ხაზი: **ნოდარ ჭეიშვილი, ლაშა ჯაიანი, მიხეილ ბაბუნაშვილი, იოსებ გუშარაშვილი;**

მესამე ხაზი: **გიორგი თხილაიშვილი, ნიკო აფციაური, ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, თორნიკე აქუბარდია;**

9-10: **თენგიზ პერანიძე, გიორგი ბეგაძე; გიორგი ბაბუნაშვილი, დავით მოძღვრიშვილი, ლუკა მატკავა;**

12-13: **მერაბ შარიქაძე, დემურ თაფლაძე, ლაშა ლომიძე, გურამ ქანდაურაშვილი;**

11-14: **აკაკი ტაბუცაძე, სანდრო სვანიძე, სანდრო თოდუა, ოთარ ლაშხი, მირიან მოდებაძე;**

15: **ლაშა ხმალაძე.**

რაგბი ევროპის სუპერთასი 2021-22
აღმოსავლეთ კონფერენცია. V ტური

4 დეკემბერი

„შავი ლომი“ (საქართველო) – „ლოკომოტივ-პენზა“ (რუსეთი).

5 დეკემბერი

„თელ ავივ ჰითი“ (ისრაელი) – „ენისეი სტმ“ (რუსეთი).

◎ ჩემპიონთა ლიგა

ქულებიც იქნება!

საუკუნის გუნდიო, სწორედ „ბრეშაზე“ ითქმის, რომლის წარმატებათა ათვლაც 2001 წლიდან იღებს სათავეს.

ამ ხნის განმავლობაში წყალბურთის იტალიურმა გრანდმა ოთხჯერ მოიხვეჭა ჩემპიონთა თასი, ერთხელ ფინალში ითამაშა, ორჯერ სამშობლოში გახდა უძლიერესი, ერთხელ ქვეყნის თასს დაეუფლა და შარშან სატიტულო რაუნდამდე გააღწია.

დაგვეთანხმებით, ბედნიერებაა, ასეთ გუნდს რომ უწევ მეტოქეობას, მით უმეტეს – ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ევროტურნირის ეგიდით, თანაც საკუთარ – „ოლიმპიკის“ აუზში. მერე რა, რომ ჯგუფურ ეტაპზე ზედიზედ მეოთხედ დავმარცხდით – 11:19. ხომ გსმენიათ, ასე იწრთობოდა ფოლადიო.

დავძენთ, რომ აპენინელთა კარში 3-3 გოლი მარკო ელაჩამ და სანდრო ადეიშვილმა გაიტანეს, 14 დეკემბერს კი სერბეთში „რადნიჩკის“ შევხვდებით.

◎ ევრო 2022

რა დროს დასვენებაა?..

როგორც მოგეხსენებათ, ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილი საქართველოს ფუტსალის ნაკრები გაისად ნიდერლანდებში პირველად ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში.

ამ დღეებში დაზუსტდა, რომ მომავალი ფორუმისთვის უკეთ მომზადების მიზნით „ჯვაროსნები“ ამ თვეში თბილისის ახალ ოლიმპიურ სასახლეში 2-2 ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ სერბეთისა და ყირგიზეთის ეროვნულ გუნდებთან.

◎ ვითარება

მამა ნახე...

როგორც ნოვაკ ჯოკოვიჩის მამა სრდიან ჯოკოვიჩი ამბობს, თუ ავსტრალიის ღიაზე მონაწილეობისთვის კოვიდ-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები არ შერბილდება, მისი შვილი მელბურნში არ იასპარეზებს.

როგორც დიდი სლემის ავსტრალიური ეტაპის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ტურნირზე სათამაშოდ მხოლოდ ვაქცინირებული ჩოგბურთელები დაიშვებიან, მსოფლიოს პირველ ჩოგანს კი საკუთარი სტატუსის გამოქვეყნება არ სურს, რაც ნიშნავს, რომ ის ტურნირზე არ დაიშვება.



„ვაქცინაციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება პირადული საქმეა. არავის აქვს უფლება, ჩვენს პირად ცხოვრებაში ჩაერიოს. ეს შანტაჟად აღიქმება და ასეთ პირობებში ის არ ითამაშებს. მე ამას არ ვიზამდი, ის კი ჩემი შვილია. ჰოდა, თავად განსაჯეთ, როგორ მოიქცევა“, – ამბობს უფროსი ჯოკოვიჩი.

ნოვაკს მელბურნის დიდი სლემის ტურნირი ცხრაჯერ აქვს მოგებული – მეცხრე გამარჯვება გასულ სეზონში იზეიმა. ეს მის კარიერაში დიდი სლემის მე-20 ტიტულია, რითაც როჯერ ფედერერის და რაფაელ ნადალის მიღწევა გაიმეორა.

ფედერერი კორტზე ჯერ ვერ დაბრუნდება და შესაბამისად, ავსტრალიის ღიას გამოტოვებს,. ნადალმა კი უკვე დაადასტურა, რომ ტურნირისთვის ემზადება.

ავსტრალიის ღია პირველობა 17 იანვარს დაიწყება.

◎ ფორმულა 1

დიდი დარტყმა

79 წლისა გარდაიცვალა ფორმულა 1-ის ბრიტანული საჯირნიბოს შემქმნელი სერ ფრენკ უილიამსი.

მას ორჯერ მოუხდა გუნდის შეკრება – 1966 და 1977 წლებში, ხოლო წარმატებებს 90-იან წლებში მიაღწია, როცა 9-ჯერ მოიგო კონსტრუქტორთა თასი და 7-ჯერ – პილოტების ჩემპიონატი (ბოლოს 1997 წელს – კანადელმა ჟაკ ვილნევმა). **დავძენთ, რომ 1986 წელს საფრანგეთში მომხდარი ავტოავარიის შემდეგ პარალიზებული უილიამსი ინვალიდის ეტლიდან უძღვებოდა პარტნიორებს.**

სულთათანა



ირაკლი ელიავა

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, პროფესორი ირაკლი ელიავა.

დაიბადა 1928 წელს თბილისში, 1947-1948 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე. დაამთავრა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგია-ნიადაგმცოდნეობის ფაკულტეტი, 1955-1958 წწ-ში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი, 1962 წლიდან იგი ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატია, ხოლო 1984 წლიდან — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. სხვადასხვა წლებში იყო ზოოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ზოოლოგიის კათედრის გამგე, ამავე უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის ნემატოლოგიის ლაბორატორიის გამგე. მისი მეცნიერული ინტერესების სფეროა ნემატოლოგია, ცხოველთა ეკოლოგია, ევოლუციური მოძღვრება. 1984 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „დორილაიმიდას რიგის ნემატოდების სისტემატიკა, ფილოგენია და ეკოლოგია“. 1988 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

დიდია ირაკლი ელიავას ღვაწლი ნემატოდების სისტემატიკისა და ფაუნისტიკის, ეკოლოგიისა და პათოგენური ფორმების გამოვლენის, ევოლუციის გზების შესწავლისა და მათი ფიტოპარაზიტული ბუნების გამომუშავების მორფოლოგიური საწყისების კვლევის დარგში. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ბუნებრივი და აგროეკოსისტემების თავისუფლად მცხოვრები და ფიტოპარაზიტული ნემატოდების შესწავლა და 20-ზე მეტი მეცნიერებისთვის ახალი სახეობის დადგენა. მისი შრომები ფიტოჰელმინთოლოგიისა და ეკოლოგიის დარგში ქართული მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს.

ი. ელიავას კვლევებს დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ემსახურება აგრობიოლოგიური საკითხების დამუშავებას.

ბატონ ირაკლის დიდი ამაგი მიუძღვის ზოოლოგთა და ეკოლოგთა კადრების მომზადების საქმეში. იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. წლების მანძილზე სათავეში ედგა ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტს და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტს.

ირაკლი ელიავა 145 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიისა და 5 წიგნის ავტორია. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, მიღებული ჰქონდა პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია. მისი საოცარი ენერგია, ენთუზიაზმი და მაღალი პროფესიონალიზმი ყოველთვის მისაბაძ მაგალითად დარჩება ახალგაზრდა მკვლევარებისთვის. ქართულ მეცნიერებას დააკლდა ერთგული და თავდადებული მსახური ბატონი ირაკლი ელიავა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ბიოლოგი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ირაკლი ელიავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ახალგაზრდობიდან მეგობრები და კოლეგები იუწყებიან დიდი სახელმწიფო და პარტიულ სტრუქტურებში განსაკუთრებული გამოცდილებით, პირადი უნარითა და თვისებებით ჩვენი თაობის გამორჩეული წარმომადგენლის

ჯონდო ჯავახიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

გივი აბდუშელიშვილი, ვოვა გვარჯალაძე, გია რამიშვილი, თამაზ ქოიავა, რამინ ქეცბაია, ნოდარ ჭითანავა, ოთარ ჭითანავა, ჯიმი ჩარკვიანი, ბიჭიკო ჯანჯღავა.

„ჯანმრთელობის ცენტრის“ თანამშრომლები მწუხარებით ვიუწყებით გინეკოლოგის, საუკეთესო მეგობრის

ნანა ხომასურიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს.

თანამშრომლები



ენრიკო ჯანელიძე დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაეცვალა ძვირფასი ძმა, გამოჩენილი მოქანდაკე

უშანგი ქუმელაშვილი

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და ქართველ მხატვართა საზოგადოებას.

პედაგოგები დეზინფორმაციასთან საბრძოლველად

კომუნიკაციების კომისიამ ევროკავშირის მხარდაჭერით, დეზინფორმაციასთან გამკლავებაში საქართველოს მასშტაბით 44 ტრენინგი ჩაატარა და 500-მდე საჯარო სკოლის 700-ზე მეტი პედაგოგი გადაამზადა. პროექტის „დეზინფორმაცია, როგორც გამოწვევა: კრიტიკული აზროვნების განვითარება სკოლებში“ ფარგლებში, ტრენინგები თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ჩატარდა.

ოთხი თვის მანძილზე ტრენინგები ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, გურრიის, აჭარის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების 50-მდე ქალაქსა და სოფელში ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ტრენინგს საკუთარი ინიციატივით მასწავლებლები აფხაზეთიდან შემოუერთდნენ.



პროექტის ფარგლებში, საჯარო სკოლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებმა მიიღეს ცოდნა დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის ნეგატიური ზეგავლენისა და მათგან თავის დაცვის მექანიზმების შესახებ. მასწავლებლებმა შეისწავლეს ის პრაქტიკული მეთოდები, თუ როგორ უნდა ამოიცნონ დეზინფორმაცია მედიაწიგნიერების უნარ-ჩვევების გამოყენებით.

ამასთან, სასწავლო სემინარებმა პედაგოგებს მისცა შესაძლებლობა, მიეღოთ ამომწურავი და გააზრებული ინფორმაცია ევროპული ღირებულებებისა და საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესის შესახებ. ტრენინგების შედეგად, მათ განივითარეს კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარები, რაც ყოველდღიურ საქმიანობაში გამოადგებათ და ტრენინგის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას პრაქტიკაში, მოსწავლეებისთვის ცოდნის გაზიარებით გამოიყენებენ.

ქვეყანაში მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების განვითარების მიმართულებით, კომუნიკაციების კომისიის მნიშვნელოვანი როლი და ეფექტური მუშაობა არაერთხელ იქნა აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. სწორედ მედიაწიგნიერების წარმატებული პროექტები გახდა იმის საფუძველი, რომ საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის დაფინანსება კომუნიკაციების კომისიამ მიიღო. პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის მხარდაჭერითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, 3 თვის განმავლობაში 500-მდე პედაგოგი უნდა გადამზადებულიყო, თუმცა მაღალი ინტერესისა და მოთხოვნის შესაბამისად, პროექტი ერთი თვით გაგრძელდა და ტრენინგები დამატებით 200-ზე მეტ პედაგოგს ჩაუტარდა. გამომდინარე იქიდან, რომ პედაგოგების მხრიდან პროექტში მონაწილეობის მიმართ მაღალი ინტერესი და მოთხოვნა ამ დრომდე დასტურდება, კომუნიკაციების კომისია აღნიშნული სასწავლო მოდულის გაგრძელებას მიმდინარე აკადემიური წლის ბოლომდე გეგმავს.

მეგობრები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“ გულწრფელად თანაუგრძნობენ ძვირფას კოლეგებს — სოფო კერესელიძეს, ლიდა წერეთელსა და ჯაბა ხუბუას მეუღლის, მამისა და სიმამრის

ჯამაზ წერეთლის

გარდაცვალების გამო.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VIII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
ვაჟა ფშაველას ქ. №48
599 79-76-79;
568 82-09-84

მარო მაყაშვილის სახელობის ოთახი პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის სასახლის ბ კორპუსის 410-ე ბრიფინგების ოთახს მარო მაყაშვილის სახელი მიენიჭა. აღნიშნულ ინიციატივას გუშინ მხარი პარლამენტის ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს.

ინიციატივის ავტორი გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანია.

„კოლეგებო, რა თქმა უნდა მაქვს და მქონდა თქვენი იმედი, რომ მხარს დაუჭერდით აღნიშნულ საკითხს. მარო მაყაშვილის სახელის მინიჭება სასახლის ერთ-ერთი დარბაზისთვის კიდევ უფრო ხაზს უსვამს ქალების როლს საქართველოს ისტორიაში.ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევაში და დიდი მადლობა განსაკუთრებით ოპოზიციონერ დეპუტატებს, რომლებმაც აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირეს“, — აღნიშნა წილოსანმა. სხდომის წამყვანის გია ვოლსკის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ინიციატივა გაჟღერდა.

„ღირსეული ქალი ჩვენი ისტორიის ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე, ვფიქრობ, სიმბოლოც არის და კარგია. მე არც ვიცოდი, რომ ამ ოთახს სახელი აქამდე არ ჰქონდა, სათათბირო ოთახები ყველა პრაქტიკულად უკვე სახელობითია, ეროვნული გმირების სახელს ატარებს და მისასალმებელია“, — განაცხადა ვოლსკიმ.

„თბილავიამშენი“ და „დელტა“ ნატოს სტანდარტის იარაღს აწარმოებენ!



საქართველოს თავდაცვის ძალებში პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრების ვიზიტები გრძელდება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეებმა, საქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ გენერალურმა დირექტორმა და სსსტც „დელტას“ დირექტორმა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესა და კომიტეტის წევრებს უმასპინძლეს.

მათივე ინფორმაციით, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს საინფორმაციო ბრიფინგზე „დელტასა“ და „თბილავიამშენის“ საქმიანობის სპეციფიკა, განხორციელებული პროექტები და სამომავლო გეგმები გააცნეს. **დეპუტატებმა სს „თბილავიამშენის“ და სსსტც „დელტას“ ტერიტორიაზე არსებული საწარმოები და შექმნილი პროდუქცია დაათვალიერეს. ასევე, სტუმრები ადგილზე გაეცნენ ქართულ-ებრაული საწარმოს „დელტა სიეიეი“-ში ნატოს სტანდარტის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების პროცესს.**

ევროპაში მოქალაქეების 77 პროცენტი აცრილია

ევროკომისიის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ევროკავშირში სავალდებულო ვაქცინაციის შესახებ მსჯელობა უნდა დაიწყოს.

როგორც ურსულა ფონ დერ ლაიენმა აღნიშნა, ამ დროის მონაცემებით აცრილია ზრდასრული მოქალაქეების 77 პროცენტი.

„ეს ნიშნავს, რომ ევროპის მოქალაქეთა ერთი მესამედი აუცრელია. საუბარია 150 მილიონ ადამიანზე. ეს ძალიან ბევრია“, — განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ვაქცინის გაკეთება დღეს არ შეუძლიათ მცირეწლოვან ბავშვებს და ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მქონე პირებს, თუმცა დანარჩენებმა აცრა უნდა გაიკეთონ. ამიტომ, ურსულა ფონ დერ ლაიენი ინიციტივით გამოდის, რომ ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა სავალდებულო ვაქცინაციის დაწესების საკითხი განიხილონ.

აცრის გეგმას გადაჭარბეს...

იტალიის ქალაქ პალაცო ადრიანოში მათემატიკასთან სრულიად შეუსაბამო რამ მოხდა — ამ ქალაქში მოსახლეობის 104%-ია კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილი.

ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა უკვე მიიღო ბუსტერ-დოზაც. რეგისტრირებული მოსახლეობის გარდა, მესამე დოზის მიღება არარეგისტრირებულებმა და მეზობელი სოფლებიდან ჩასულმა მოსახლეობამაც შეძლო. ამ პატარა ქალაქში მოსახლეობის საშუალო ასაკი 60 წელია. ასევე ძალიან წარმატებული აღმოჩნდა კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კამპანია რისკჯგუფებისთვისაც.

გრძელდება უდიდესი დღესასწაული — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულის მარიამის ტაძრად მიყვანება



4 დეკემბრიდან 9-მდე საქართველოს **წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებას. ...ცნობილია, რომ წმინდა იოაკიმემ და ანამ ორმოცდაათი წელი იცხოვრეს ერთად, მაგრამ შვილი არ ჰყავდათ, რის გამოც კაცთაგან უამრავ შეურაცხყოფას ითმენდნენ. ერთხელ მღვდელმთავარმა იოაკიმეს მსხვერპლიც კი არ მიიღო; უთხრა, ეტყობა, ბევრი დაფარული ცოდვა გაქვს, რაკი ღმერთი შვილს არ გაძლევსო, დიდმა მწუხარებამ მოიცვა მართალი ცოლ-ქმარი. წმინდა ანამ აღუთქვა უფალს, რომ თუ წყალობას მოიღებდა და შვილს აჩუქებდა, მასვე შესწირავდა.**

უფალმა შეისმინა ანას ლოცვა — ქალს მთავარანგელოზი გამოეცხადა და ახარა, რომ ეყოლებოდა ასული — მარიამი, რომლის წიაღიდანაც ქვეყნიერებას მაცხოვარი მოევლინებოდა. ცხრა თვის თავზე გაუჩნდა ცოლ-ქმარს ნანატრი შვილი. გოგონას თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ, ზრდიდნენ, ყრმა მარიამი კი საღმრთო მადლით განადიდებდა და განაძლიერებდა მოხუც მშობლებს. მარიამი 3 წლის გახდა... და, დადგა ჟამი მარიამის მშობლებთან განშორებისა, წმინდა იოაკიმემ და ანამ საზეიმოდ მოიყვანეს მხოლოდშობილი ასული ტაძრად. იოანე ნათლისმცემლის მამა-მღვდელმთავარი ზაქარია გამოვიდა ტაძრიდან მათ შესახვედრად. ყრმა მარიამმა, როგორც კი კიბეზე ფეხი შედგა, დაუხმარებლად აირბინა თხუთმეტივე საფეხური და მუხლებზე შემოეხვია ზაქარიას. მღვდელმთავარი ზაქარია სულიწმინდის მადლმა მოიცვა, მიხვდა, რომ ეს ყრმა იყო სამკვიდრებელი ღვთის მადლისა და მასზე უფრო ღირსეული... უსაზღვროდ გახარებულმა მშობლებმა მადლობა შესწირეს უფალს, შინ დაბრუნდნენ და დიდი სერობა გამართეს, ხოლო მათმა კურთხეულმა ასულმა ღვთის სახლში განაგრძო ცხოვრება.

გიული ლიპარტია

პირველი დღიდანვე არ მომწონდა მეგან მარკლი...

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა მეგან მარკლი პრინც ჰარის გამოყენებასა და დედოფლის მიმართ უპატივცემულობაში დაადანაშაულა.

„მეგან მარკლის ფანი არ ვარ. პირველი დღიდანვე არ მომწონდა. ვფიქრობ, რომ მან ჰარი საშინლად გამოიყენა და ჰარი ოდესმე ინანებს ამას“, — აღნიშნა დონალდ ტრამპმა GB News-თან ინტერვიუში.

დონალდ ტრამპის თქმით, ამან გააფუჭა პრინც ჰარის ურთიერთობა ოჯახთან და დედოფალს ტკივილი მიაყენა. **„მეგან ცდილობს გააკეთოს ისეთი რამ, რაც, ჩემი აზრით, ძალიან შეუსაბამოა. მე ვფიქრობ, რომ ის ძალიან უპატივცემულოდ ექცევა სამეფო ოჯახს და განსაკუთრებით, დედოფალს“,** — განაცხადა მან.

რიანა - ბარბადოსის რესპუბლიკის ეროვნული გმირი

რიანამ თავისი სამშობლოსგან უმაღლესი ჯილდო მიიღო. **ბარბადოსის გაერთიანებული სამეფოსგან გამოყოფისა და რესპუბლიკად წოდების აღსანიშნავ ცერემონიაზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მია მოტელიმ ბრენდ The Fenty-ს 33 წლის დამფუძნებელს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.** ღონისძიებაზე რიანას Bottega |eneta-ს სტაფილოსფერი კაბა ეცვა და შავი სახის ნიღაბი ეკეთა. ცერემონია მომღერლის მშობლიურ ქალაქ, ბრიჯთაუნში გაიმართა.

„არაჩვეულებრივი ერისა და მეტად უფრო ამაყი ხალხის სახელით მინდა წარმოგიდგინოთ ბარბადოსის ეროვნული გმირი და ელჩი რობინ რიანა ფენტი“, — ასე წარადგინა მომღერალი პრემიერ-მინისტრმა. ბარბადოსის ეროვნული გმირის წოდებას სულ 11 ადამიანი ატარებს, რიანა მხოლოდ მეორე ქალია, ვისაც ეს პატივი ერგო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 6 დეკემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1279; ევრო - 3.5414;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1623;
100 რუბლი - 4.2290; თურქული ლირა - 0.2367;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8380;
1000 სომხური დრამი - 6.4031.

ამინდი 3 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+9
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+12
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge